# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 11 ივნისი 2002 №105 (1627) | ფასი 50 თეთრი


2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

# მოსკოვს თვალების არ სჯერა, ბრემ პოლს იტალიის გოლების



REUTERS

პორტუგალია — პოლონეთი 4:0.
პედრო პაულეტამ პოლონელთა მეკარე ირჟი დუდეკს ჰეთ თრიქი შეუსრულა



REUTERS

იტალია — ხორვატია 1:2.
ფილიპო ინძაგიმ გრემ პოლს ვერაფერი შეასმინა

## ზიდანი თუ ჩემოდანი?

გუშინდელი ბოლო მატჩით მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარი გასრულდა და ბევრიც არა, მაგრამ ზოგი რამ უკვე გაირკვა. საუდეთს, სლოვენიას, ნიგერიასა და პოლონეთს მუნდიალზე უკვე აღარაფერი ესაქმებათ, ბრაზილიასა და ესპანეთს კი თავი სამერვედფინალო ქუდში აქვთ.

იაპონიამ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა, ამომავალი მზის ქვეყნის შვილებს მსოფლიოს ჩემპიონატებზე აქამდე არასდროს მოეგოთ და ამ გამარჯვებას დიდი არეულობაც მოჰყვა — რუსმა ქომაგებმა იაპონიასთან მარცხი ისე იწყინეს, თითქოს კურილიის კუნძულები დაეკარგოთ და საკუთარი ძალა მსოფლიოს მოსკოვის დარბევით აჩვენეს.

მშვიდობიანად გაიყარნენ სხვა ისტორიული მეტოქენი — კორეამ და ამერიკამ ფრედ ითამაშეს.

პორტუგალიელმა პედრუ პაულეტამ კი ჰეთთრიქოსანთა კვარცხლბეკზე მიროსლავ კლოზეს ეულად ყოფნა იუკადრისა და გვერდით ამოუდგა.

ამ უქმეებზე დაიმსხვრა იტალიელთა უძლეველობის მითი, ისევე, როგორც ცოტა ადრე არგენტინისა და უფრო ადრე მსოფლიოს ჩემპიონ ფრანგთა. დიახ, არბიტრმა „სკუადრა აძურას" ორი გოლი არ ჩაუთვალა, მაგრამ ისიც მოგეხსენებათ, რომ, საზოგადოდ, იტალიას ძალიან უჭირს ხორვატთა გატეხვა.

დღეს კი იწყება ის, რასაც დიდი ხმაური უნდა მოჰყვეს — ჯგუფური ეტაპის ბოლო ტური და გუნდებიც წყვილ-წყვილად ჩაალაგებენ ჩემოდნებს. წამსვლელთა შორის ეგებ ფრანგებიც აღმოჩნდნენ და დაგვიანებული იყოს ზინედინ ზიდანის დაბრუნება. მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში აქამდე მხოლოდ ერთხელ მოხდა, რომ ჩემპიონმა ჯგუფური ეტაპი ვერ გადალახა — 1966 წელს ბრაზილიელებმა ვერ ივარგეს.

და განა გასაკვირი იქნება? ხმაურიანი შედეგებით დაწყებული ჩემპიონატი ვინძლო, უხმაუროდ არ დასრულდეს.



რუსებმა მოსკოვი არ დაინდეს



ფრანგები მომჯობინებული ზინედინ ზიდანის იმედზე არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეა-იაპონია 2002
## B ჯგუფი. II ტური
# №24 ს. აფრიკა 1:0 სლოვენია

8 ივნისი. დეგუ (კორეა). 11.30, „დეგუ უორლდ კაფი". 47 226 მაყურებელი

1:0 ნომვეტე (4)

SOUTH AFRICAN FOOTBALL ASSOCIATION

მწვრთნელი იომო სონო

16 არენდსე
2 ნზამა, 4 ა. მოკოენა, 19 რადებე, 3 კარნელი
6 სიბაია, 12 ტ. მოკოენა
15 ზუმა, 7 ფორჩუნი
14 ნომვეტე, 17 მაკკარტი

21 ციმეროტიჩი
11 პავლინი, 18 აჩიმოვიჩი
13 რუდონია, 7 ნოვაკი
8 ა. ჩეჰი
19 კარიჩი, 3 მილინოვიჩი, 4 ვუგდალიჩი, 6 კნავსი
1 სიმეუნოვიჩი

მწვრთნელი სრეჩკო კატანეცი

შეცვლა: ციმეროტიჩი – 9. ოსტერცი (41), აჩიმოვიჩი – 20. ნ. ჩეჰი (60), კნავსი – 23. ბულაიჩი (60), ნომვეტე – 18. ბაკლი (71), მაკკარტი – 23. კუმანტარაკისი (80), ფორჩუნი – 11. პულე (85)

გაფრთხილება: რადებე (12), ვუგდალიჩი (35), ტ. მოკოენა (60), ა. ჩეჰი (62), პავლინი (75)

მსაჯები: ანხელ სანჩესი (არგენტინა); ხორხე რატალინო (არგენტინა), ალი ალ-ტრაიფი (საუდეთი)

| | | |
|---|---|---|
| 20 | ჯარიმა | 16 |
| 6 | კუთხური | 6 |
| 13 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 7 | კარში დარტყმა | 1 |
| 4 | თამაშგარე | 2 |



REUTERS ფოტო

ტებოგო მოკოენასგან (№12) გამოდებული სარმით ალეშ ჩეჰმა კარგა ხანს იფრინა

დავით თავართქილაძე

# სრეჩკო და ზლატკო
## სლოვენიის დასასრული

**ზლატკო ზაჰოვიჩი** ბილწმოსიტყვეა და ნაკრებიდან ამიტომაც მოიკვეთაო, ასეთი მიზეზი მოისმინა მთელმა მსოფლიომ მას შემდეგ, რაც ლისაბონის „ბენფიკას" ფეხბურთელი სლოვენიამ კორეა-იაპონიიდან სამშობლოში გაისტუმრა.

ერთი სიტყვით, ზაჰოვიჩს გუნდის მთავარსარდლის სრეჩკო კატანეცის გინება არ აპატიეს.

ზაჰოვიჩის მოკვეთიდან რამდენიმე დღეც და სრეჩკო კატანეცი მატჩის მეორე ტაიმში სათადარიგოთა სკამიდან ტრიბუნაზე ატყორცნეს. მიზეზი ფაქტობრივად იგივეა — კატანეცმა მსაჯთან ატარტალა ენა.

„თუ მსაჯი პატიოსანია, ის იტყვის, რაც მოხდა, რადგან არაფერი მომხდარა. შეურაცხყოფა არავისთვის მიმიყენებია და არ ვიცი, რატომ გამაძევა" — აი, ასე იმართლა თავი მწვრთნელმა.

თამამი განცხადება კი სლოვენიელთა შუახაზელმა ამირ კარიჩმა გააკეთა: „ზაჰოვიჩის დარი ფეხბურთელის დაკარგვა ძალიან მძიმე რამაა, ის ჩვენთვის ერთობ ბევრს ნიშნავდა თავისი საჯარიმო დარტყმით და საერთოდ, ყველაფრით. ბოლო დღეებში ჩვენს ბანაკში რაღაც-რაღაცეები კვლავ გრძელდებოდა, რაც გუნდის საერთო განწყობას დაეტყო".

_სამხრეთ აფრიკა ის გუნდია, საქართველოს ნაკრებმა შინ ამხანაგურად 4:1 რომ მოუგო, მაგრამ ეს მსოფლიოს ჩემპიონატია. იომო სონოს ბიჭები თავს იოლად არავის დააჩაგვრინებენ და ვინძლო, მერვედფინალშიც გავიდნენ.

პირველ ტაიმში ვითომდა, უფრო საინტერესოდ სლოვენია გამოიყურებოდა. კატანეცმა ჰაპოელელი ფორვარდი მილან ოსტერცი სასტარტო შემადგენლობაში არ ათამაშა, სამაგიეროდ, „ცრვენა ზვეზდას" 25 წლის პლეიმეიკერ მილენკო აჩიმოვიჩს ენდო. აჩიმოვიჩმა ისლა მოახერხა, რომ ბურთი ერთი-ორჯერ ლამაზად გაისწორა და ფლანგიდან კარგი პასი მიართვა ციმეროტიჩს, რომელსაც თავური გაუცუდდა.

ამას მანჩესტერიუნაიტედური ჩაწოდება და უდიეზური გოლი მოჰყვა — ამ კლუბების აფრიკელებმა, კვინტონ ფორჩუნმა და სიაბონგა ნომვეტემ თავიანთი კომბინაციით სლოვენია ჯგუფში ჩატოვეს. ისიც უნდა ითქვას, დამაგვირგვინებელი დარტყმის მომენტში ნომვეტე კითხვის ნიშანივით დაიკლაკნა და სხეულის რა ნაწილით შეაგდო ბურთი, ცოტა რთული სათქმელია.

სლოვენიელთა დაცვის ხაზიდან ყველაზე ხშირად მუამერ ვუგდალიჩი ცდებოდა, ხოლო შეტევაში ერთადერთხელ გაბრწყინებულ მარჯვენაფლანგელ ჯონი ნოვაკს აჩიმოვიჩმა ვერ დაუფასა გარჯა.

მეორე ტაიმი მთლიანად აფრიკელებისა იყო. მხოლოდ ბენი მაკკარტის სამჯერ მართებდა გოლის გატანა. ვერც ბუნდესლიგამოვლილმა ბოხუმელმა დელსონ ბაკლიმ ივარგა.

უგერგილო, უნიათო და უმარილო ბურთაობაში იომო სონოს გუნდმა აშკარად დაჩაგრა ევროპელები. უკლასო, მაგრამ უმთავრესად სრეჩკო კატანეცის წყალობით მუნდიალზე მოხვედრილი სლოვენიის ნაკრები ფრეს ნაღდად არ იმსახურებდა — შესვენების შემდეგ სლოვენიელებმა ოდენ ერთი მწვავე შეტევა მიიტანეს არენდსეს კარზე, როცა ნასტია ჩეჰმა მასზე გაცილებით ზორბა მცველს საჰაერო დუელი კი მოუგო, მაგრამ მიზანი ვერ გაისწორა.

ჰოდა, სრეჩკოს და ზლატკოს გაგდების ამბავი, მხოლოდ სიტყვამ მოიტანა და ეგ იყო...

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 6 |
| ს. აფრიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| პარაგვაი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| სლოვენია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

### მატჩის შემდეგ

**იომო სონო**

*სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელი*

სანახაობრივად მატჩი არვარგოდა, მაგრამ აქ ლამაზი ფეხბურთის სათამაშოდ არ ჩამოვსულვართ. მთავარი მიზანი მოგებაა, რასაც გააზრებული თამაშით მივაღწიეთ. სწრაფმა გოლმა სლოვენიელებზე ცუდად იმოქმედა და ანგარიში იოლად შევინარჩუნეთ. ჯგუფში ჩვენთვის კარგი ვითარებაა შექმნილი, ალბათ, მერვედფინალშიც გავალთ.

**სრეჩკო კატანეცი**

*სლოვენიის ნაკრების მწვრთნელი*

ვერ გამიგია, რატომ გამაგდო მსაჯმა, მის ნამუსზე იყოს ყველაფერი. ვფიქრობ, კარგად ვითამაშეთ. სამხრეთაფრიკელები ვერაფრით გვჯობნიან, დღეს მათ უბრალოდ გაუმართლათ. ჯარიმით მოულოდნელად გაგვიტანეს, რის შემდეგაც გატანის რამდენიმე შანსი ჩვენც გვქონდა, მაგრამ...

პარაგვაისთან მოსაგებად ყველაფერს გავილებთ.

### სტენოგრამა

**მე-3 წუთი:** ძელკო მილინოვიჩმა ზემოდან გადააშორა კარს.

**მე-4 წუთი:** კვინტონ ფორჩუნის პასს სიაბონგა ნომვეტემ შედეგიანად დაჰკრა — 1:0.

**მე-19 წუთი:** ბენი მაკკარტი ხელსაყრელ პოზიციაში გავიდა, მაგრამ მეკარემ იმარჯვა.

**33-ე წუთი:** მილენკო აჩიმოვიჩმა ჯონი ნოვაკს კარგი პასი ვერ დაუფასა — კარს ააცილა.

**მე-40 წუთი:** სიბუსისო ზუმას იდეალურ პასს ბენი მაკკარტიმ უხეიროდ დაჰკრა.

**44-ე წუთი:** მაკბეტ სიბაიას სახიფათო დარტყმამ მიზანს ვერ უწია.

**50-ე წუთი:** ბენი მაკკარტიმ მცველი ჩამოიშორა და კარში დაარტყა. მეკარემ გაჭირვებით მოიგერია ბურთი.

**65-ე წუთი:** ბენი მაკკარტის სახიფათო დარტყმა სლოვენიელთა კარის ჯვარედინს მოხვდა.

**66-ე წუთი:** ბენი მაკკარტის ამჯერად მეკარემ აჯობა.

**71-ე წუთი:** მილან ოსტერცის თავური ანდრე არენდსემ გაჭირვებით გააუვნებლა.

**81-ე წუთი:** ამირ კარიჩის დარტყმული ხარიხამ აისხლიტა.

**86-ე წუთი:** დელსონ ბაკლიმ საგოლე შანსი გაანიავა. მეკარესთან პირისპირ დარჩენილს მცველები წამოეპარნენ და ბურთიააცალეს.



REUTERS ფოტო

მარკო სიმეუნოვიჩი მუამერ ვუგდალიჩს დაეყრდნო და ყველაზე მაღლა ახტა

# კორეა-იაპონია 2002
## C ჯგუფი. II ტური

# №26 ბრაზილია 4:0 ჩინეთი

8 ივნისი. სეუგვიპო (კორეა). 16.30 „ჯეი უორლდ კაფი“. 36 750 მაყურებელი

1:0 რობერტო კარლოსი (15), 2:0 რივალდო (32), 3:0 რონალდინიო (45პ), 4:0 რონალდო (55)




შეცვლა: რონალდინიო – 17. დენილსონი (46), მინგიუ – 3. ჰუ (62), ჰონგი – 6. ჭიაი (66), ჟუნინიო – 7. რიკარდინიო (70), რონალდო – 20. ედილსონი (72), ჰაიდონგი – 16. ბო (75)

გაფრთხილება: რონალდინიო (24), როკე ჟუნიორი (69)

მსაჯები: ანდერს ფრისკი (შვედეთი); ლეიფ ლინდბერგი (შვედეთი), ბომერ ფიერო (ეკვადორი)

| | | |
|---|---|---|
| 13 | ჯარიმა | 7 |
| 6 | კუთხური | 5 |
| 11 | კარისკენ დარტყმა | 5 |
| 8 | კარში დარტყმა | 3 |
| 6 | თამაშგარე | 0 |


REUTERS
რივალდომ (№10) ისე აუღელვებლად გაიტანა, თითქოს ვარჯიშზე ყოფილიყოს

# მილუტინოვიჩი ბოთლში ჩაძვრა
## დაასხი მი ლუ, ადღეგრძელე ბორა

**ვაჟა ხუციშვილი**

— **მოვიგეთ**, ფეოლა.

—გაგიჭირდებოდათ.

ეს სამი სიტყვა ქართული ფილმიდან სრულად გამოხატავს მატჩის ხასიათს.

თუ ჩინელები ლენინურ „სწავლა, სწავლა და სწავლა“-ს მიჰყვნენ, უეჭველად ისწავლიან თამაშს. ჯერჯერობით კი ბურთისთვის უცხო ვინმეა ჩინელი ფეხბურთელი. მთლიანობაში მათი მთავარი პრობლემაც სწორედ ბურთთან გაშინაურება გახლავთ, სისწრაფე და გამძლეობა კი იცოცხლეთ, კორეელ-იაპონელებივით მოსდგამთ.

ბორა მილუტინოვიჩი კარგი მასწავლებელია. ჩინელთა გარდა ეს კიდევ ოთხმა ქვეყანამ უწყის, რომლებსაც იუგოსლავიელი სპეციალისტი სამუნდიალოდ წვრთნიდა. მილუტინოვიჩის გუნდები აქამდე რვაჯერ შეხვედრიან ბრაზილიელებს და აქედან მხოლოდ ერთს, მექსიკას, 1997-ში მოუხერხებია ტეტრაკამპეონთა დამარცხება.

უკეთეს გამომცდელს ჩინელები ვერც ინატრებდნენ — ბრაზილიაზე მოგახსენებთ. ბორამ იცოდა, რომ სისწრაფეში თუ შეძლებდა გაჯიბრებას და აქცენტიც ამაზე გააკეთა. დებიუტში მის გუნდს ჰქონდა კიდეც რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი.

დასანანი იქნება, თუ ჩინელები მსოფლიოს ჩემპიონატს უგოლოდ დატოვებენ. ჟაო იუნჟეს ისტორიული გოლის გატანა შეეძლო მეორე ტაიმში, მაგრამ ხარიხამ უგანა.

მილუტინოვიჩის გუნდი ფანტაზიის ნაკლებობას განიცდის — როგორც გუნდი, თორემ ინდივიდუალურად რიგ ეპიზოდებში თითო ბრაზილიელი მცველის ლამაზად ჩამოცილება არ გასჭირვებიათ.

ვფიქრობ, გოლების აღწერით თავს შეგაწყენთ, ამიტომ რამდენიმე პატარა ამბავს გიამბობთ.

ორივე მატჩი კი წააგო ჩინეთის ნაკრებმა, მაგრამ კაი დედმამიშვილია და რომელიმე ჩინელმა საჯაროდ გააკრიტიკოს მილუტინოვიჩი.

მთავრობამ მასმედიას დირექტივები დაუგზავნა. ბუდა არ გაგიწყრეთ, იმ კაცზე ცუდი არაფერი წამოგცდეთო. ისე, რომელ ჭკუათმყოფელს მოუვიდოდა თავში აზრად მწვრთნელის გათათხვა, ბრაზილიასთან რატომ დამარცხდიო? სხვათა შორის, „ზემოდან“ გაზეთებს სავარაუდო საპირველგვერდო სათაურებიც კი შესთავაზეს. მაგალითად, „რამდენად შორს ვართ ჩვენ ფეხბურთისგან?“

იუგოსლაველმა სპეციალისტმა ერთი საიდუმლო გაამხილა. როგორ ახერხებს, რომ მუდმივად კარგი ურთიერთობა აქვს ფეხბურთელებთან? ძალიან მარტივად. თარჯიმანს ევალება შემდეგი: მოთამაშეთაგან მწვრთნელის მისამართით გასროლილი ლანძღვა ადრესატს არ უნდა უთარგმნოს და პირიქით.

ფეხბურთი ფეხბურთად, მაგრამ მილიარდნახევრიან ქვეყანაში კარგი პირობებია ბიზნესისთვის. ბორა მილუტინოვიჩმაც, ზედმეტი ორი კაპიკი არ მაწყენსო და, თავისივე სახელობის ბრენდის ჩამოსხმა დაიწყო. სასმელს „მი ლუ“ ჰქვია. ვერაფერს იტყვი, იღბლიანი კაცია ბორა...

**ვაჟა ხუციშვილი**


REUTERS
არბიტრმა ჩინელებს რონალდოს წაქცევა არ აპატია



REUTERS
ბორა მილუტინოვიჩს „ზემოთ“ მფარველობენ

## მატჩის შემდეგ

### ბორა მილუტინოვიჩი
*ჩინეთის ნაკრების მწვრთნელი*

მატჩით კმაყოფილი ვარ. ვფიქრობ, თითოეულმა ფეხბურთელმა კარგი ინდივიდუალური თამაში აჩვენა, მათ ყველაფერი გაიღეს მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტის წინააღმდეგ, მაგრამ ბრაზილია არათუ ჩვენზე, კიდევ ბევრ ნაკრებზე ძლიერია და შედეგიც ლოგიკურია. ვიმედოვნებ, ამ შეხვედრამ ბევრი შეგვძინა, რასაც თურქების წინააღმდეგ გამოვიყენებთ.

### ლუიშ ფელიპე სკოლარი
*ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი*

ჯერჯერობით ჩინებული სტარტი გვაქვს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ მხოლოდ თურქეთი და ჩინეთი დავამარცხეთ, ისინი კი მსოფლიოს ჩემპიონატის ფავორიტები არ არიან.

ჩინელებს კი ცუდი გუნდი არ ჰყავთ.

## სტენოგრამა

მე-3 წუთი: კი ჰონგს დარტყმა არ გამოუვიდა.

მე-6 წუთი: რონალდინიო საჯარიმოში სახიფათოდ შეიჭრა, მაგრამ მცველებმა იმარჯვეს.

მე-15 წუთი: რობერტო კარლოსმა 27 მეტრიდან უძლიერესად დარტყმული საჯარიმო შორეულ ცხრიანში ჩააჭედა.

მე-20 წუთი: კაფუ მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ჯიან ჯინიმ კარის გადარჩენა შეძლო.

22-ე წუთი: რობერტო კარლოსის გასროლილს მცველი გადაეღობა.

29-ე წუთი: ანდერსონ პოლგას შორეული დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

32-ე წუთი: რონალდინიოს ჭკვიანური პასით რივალდომ იხეირა — ახლოდან მშვიდად შეაგდო ჩინელთა კარში.

37-ე წუთი: მა მინგიუს სახიფათო დარტყმა შემთხვევით მცველს მოხვდა და ბურთი კუთხურზე გადავარდა.

42-ე წუთი: რონალდოს თავური კარს ასცდა.

45-ე წუთი: რონალდოს საჯარიმოში ეუხეშნენ. პენალტი რონალდინიომ ზუსტად გამოიყენა.

49-ე წუთი: მა მინგიუს შორეულმა დარტყმამ მიზანს ვერ უწია.

55-ე წუთი: რივალდო-კაფუ-რონალდოს ლამაზი კომბინაცია მეოთხე გოლით დასრულდა.

59-ე წუთი: პირისპირ დარჩენილმა კაფუმ მეკარე მოატყუა, მაგრამ მცველებმა იყოჩაღეს და სახიფათო მომენტი განმუხტეს.

61-ე წუთი: ჟაო იუნჟეს სახიფათო დარტყმა ძელს მოხვდა.

70-ე წუთი: შაო ჟიაის საჯარიმო მეკარე მარკოსმა კუთხურზე მოიგერია.

71-ე წუთი: რონალდო მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ უხეიროდ ითამაშა.

75-ე წუთი: ჟილბერტო სილვას გასროლილს მეკარე გაუმკლავდა.

86-ე წუთი: პირისპირ გასულ კუ ბოს მარკოსმა აჯობა.

90-ე წუთი: კაფუმ ურეალურესი შანსი ვერ გამოიყენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეა-იაპონია 2002
## C ჯგუფი. II ტური
# №28 კოსტა რიკა 1:1 თურქეთი

9 ივნისი. ინჩეონი (კორეა). 14.00 „მუნაკ სთადიუმ". 42 299 მაყურებელი

0:1 ემრე ბელოზოღლუ (56), 1:1 პარკსი (86)




შეცვლა: სენტენო – 17. მედფორდი (66), შუქური – 17. ილჰანი (75), ლოპესი – 12. პარკსი (77), უოლესი – 16. ბრისი (77), ბაშთურქი – 15. ნიჰათი (79), თუგაი – 6. არიფი (88)

გაფრთხილება: ემრე ასიქი (20), მარტინესი (24), კასტრო (43), თუგაი (45), ემრე ბელოზოღლუ (89)

მსაჯები: კოფი კოჯა (ბენინი); დრამანე დანტე (მალი), ბრაიტონ მუდზამირი (ზიმბაბვე)

| | | |
|---|---|---|
| 15 | ჯარიმა | 10 |
| 3 | კუთხური | 5 |
| 13 | კარისკენ დარტყმა | 10 |
| 3 | კარში დარტყმა | 5 |
| 7 | თამაშგარე | 5 |




ემრეს (№21) გოლმა თურქებს გამარჯვება ვერ მოუტანა

# ვაჰ, მუსტაფა მოდის?
## კოსტა მერვედფინალშია, რიკა შორიახლოს ტრიალებს

ვაჟა ხუციშვილი

**შეიძლება** ასე ვთქვათ: კოსტა რიკის პირველი ნაწილი, ანუ კოსტა, მერვედფინალშია. რიკაც იქ უნდა ყოფილიყო, უინსტონ პარკსს ბოლო წუთზე მეორე რომ გაეტანა. ალეშანდრე გიმარაეშმა შეცვლა ნაღდად გამოიცნო. პარკსი ბრწყინვალედ ჩაერთო თამაშში და დაწიოკა კიდეც თურქები.

მთელი მატჩი შეტევების ზეობა იყო. მეტოქენი დაცვაზე ნაკლებად ფიქრობდნენ და თვალი ერთურთის კარზე ეჭირათ. ამიტომაც გამოვიდა ასეთი, ბლომად საგოლე მომენტებით დახუნძლული თამაში. ბურთი ცენტრში თითქმის არ ჩერდებოდა. ორივე გუნდი ლაღად უტევდა და შეხვედრა თვალსასეირო გამოდგა.

პირველად პაულო ვანჩოპეს შეეძლო რუშთუს დამწუხრება, მაგრამ ჯარიმოდან გათამაშებული ბურთი ჰასან შაშმა მოიხელთა. სანამ ფეხიდან ფეხზე გადაიტანა, ასწავნეს კიდეც. ამას რონალდ გომესის გაელვება მოჰყვა — მცველები მიმოფანტა, მაგრამ არაზუსტად დაჰკრა.

პირველ ტაიმში, ისევე როგორც ბრაზილიასთან, ჰაქან შუქურს ხეირიანი არაფერი გაუკეთებია. „ბოსფორის ბულა" კი შეარქვეს, მაგრამ ფარას ჩამორჩენილ ცხვარს უფრო ჰგავდა. ძირითადად ჰასან შაშისგან მოდიოდა ხიფათი და ხანდახან ემრეც მწვავედ ერთვებოდა.

ალფაის და ბიულენთის არყოფნა ოსმალოთა უკანა ხაზს აშკარად დაეტყო. ისინი სრულფასოვნად ვერავინ შეცვალა. მცველთა შეუთანხმებლობის გამო ერთხელ რუშთუს საჯარიმოს გარეთ კინაღამ ხელით თამაშიც მოუხდა, თუმცა ბურთი დროულად მოიშორა.

მეორე ნახევარი ჰაქან შუქურის არაზუსტი თავური დარტყმით დაიწყო. სანამ კარიბელები დალაგდებოდნენ „ბოსფორის ბულას" ლამის ასპროცენტიანი მომენტი მიეცა, მაგრამ ილდირეი ბაშთურქის პასი ვერ შეირგო — ლონისთან პირისპირ დარჩენილმა ტრიბუნებზე გააგზავნა ბურთი.

ნელ-ნელა თურქებმა იძალეს. მოკლე პასებით მეტოქის დაცვის გარღვევა რამდენჯერმე შეძლეს კიდეც, ოღონდ ამ იერიშებს სახეირო არაფერი მოჰყოლია.

არეულობაში გოლი მაინც გავიდა. საჯარიმოში შეჭრილ ემრეს პირველი დარტყმა ლონისმა აუღო, მაგრამ ემრე არ დაიბნა და შემობრუნებით მეორედაც დაარტყა. ბურთი ახლო ძელთან შეგორდა.

კოსტარიკელებმა გასათანაბრებლად შეუტიეს. ორჯერ შორიდან სცადეს კარის აღება, თუმცა კარის ჩარჩოშიც ვერ დაუმიზნეს.

მერე, სამჯერ შეეძლოთ მეკარესთან პირისპირ გასვლა, სამჯერვე გვერდითმა მსაჯმა არ დაანება. არადა, თამაშგარე სამიდან ორჯერ ნამდვილად არ იყო.

მატჩის მიწურულს უხეშობამ და სახიფათო მომენტებმა იმატეს. ვანჩოპე და ძმანი მისნი მეტოქის ნახევარს მიეძალნენ. რუშთუს სულ უფრო ხშირად უწევდა თამაშში ჩართვა. ბოლოს მაინც დაუშვა ერთი შეცდომა და უინსტონ პარკსმა ცარიელ კარში შეაგდო.

ოსმალონი აღელდნენ. დაიწყეს მუჯლუგუნების ცემა, მაისურების ქაჩვა. კარიბელებიც იმტაზე მოვიდნენ, მაგრამ პროვოკაციას არ აჰყვნენ.

ემრემ ხომ ნამდვილთურქული საქციელი ჩაიდინა. კოსტარიკელთა ერთ-ერთი მწვრთნელისგან, ვისაც ხელი უხეშად ჰკრა, ალიყურს იმსახურებდა.

საერთოდ, ალბათ, ხალხია ასეთი — სტამბოლში იჩხუბეს, რომში იჩხუბეს, კორეაში ჩხუბობენ.

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციაში კი მატჩამდე ბჭობა გამართულა. თუ კოსტა რიკას ვერ მოუგო, შენოლ გიუნეშს, ალბათ, წასვლა მოუწევსო. შემცვლელად კი ნაკრების ოდინდელ თავკაც მუსტაფა დენიზლის ასახელებენ.




პაულო ვანჩოპემ საგოლე მომენტი გააცუდა



შენოლ გიუნეში

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრაზილია | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| კოსტა რიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| თურქეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ჩინეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

## მატჩის შემდეგ

### შენოლ გიუნეში
*თურქეთის ნაკრების მწვრთნელი*

შემრწუნებული ვარ. მოგებამდე არარაფერი გვიკლდა, მაგრამ ზოგიერთი ფეხბურთელი ნაადრევად მოეშვა და დასანანი მარცხი ვიწვნიეთ.

მსოფლიოს ჩემპიონატზე 48-წლიანი შესვენების შემდეგ პირველად ვართ, ბრაზილიელებსაც და კოსტა რიკასაც ტოლ-სწორად ვეთამაშეთ და დღესაც რომ ვერ გავიმარჯვეთ, უსამართლობაა.

ბოლო მატჩისას, ალბათ, სიცოცხლეს დავდებთ, ჩინელებს აუცილებლად მოვუგებთ.

### ალეშანდრე გიმარაეში
*კოსტა რიკის ნაკრების მწვრთნელი*

გადამწყვეტი ჩვენი ხასიათი აღმოჩნდა, მთელი გულით ბოლომდე ვიბრძოლეთ. რომ ვაგებდით, იმაზე არ გვიფიქრია, ვის ვეთამაშებოდით, უბრალოდ იმას ვაკეთებდით, რაც შეგვეძლო. ჯერ გარკვეული არაფერია, ყველაფერს ბრაზილიასთან შეხვედრა გადაწყვეტს, რომელსაც იმედიანად შევყურებთ.

## სტენოგრამა

**მე-9 წუთი:** პაულო ვანჩოპეს მახვილი კუთხიდან სახიფათოდ დარტყმული ბურთი კარს ასცდა.

**მე-11 წუთი:** უმით ოზატის საჯარიმო დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

**25-ე წუთი:** საჯარიმოში შეჭრილმა ჰასან შაშმა მცველი ჩამოიშორა, მაგრამ კარში დარტყმა ვერ მოახერხა.

**33-ე წუთი:** ვალტერ სენტენო მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ უხეიროდ დაარტყა.

**45-ე წუთი:** მცველებმა მეკარე რუშთუ რეკბერს უხერხულად დაუგორეს ბურთი. აროლდ უოლესს ცოტაღა დააკლდა გოლის გასატანად.

**47-ე წუთი:** ჰაქან შუქურის თავური კარს ასცდა.

**48-ე წუთი:** ჰაქან შუქური მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ კარს ვერ დაუმიზნა.

**51-ე წუთი:** რონალდ გომესის სახიფათო დარტყმამ მიზანს ვერ უწია.

**56-ე წუთი:** საჯარიმოში მყოფმა ემრე ბელოზოღლუმ ორი მცველი მოატყუა და მეკარეს შანსი არ დაუტოვა.

**61-ე წუთი:** ვილმერ ლოპესმა კარს ზემოდან გადააცილა.

**62-ე წუთი:** მაურისიო სოლისის დარტყმა არ გამოუვიდა.

**65-ე წუთი:** პაულო ვანჩოპეს მეკარემ აჯობა.

**86-ე წუთი:** ხელსაყრელ პოზიციაში მყოფმა უინსტონ პარკსმა ხუთიოდე მეტრიდან დალაშქრა მეტოქის კარი.

**90-ე წუთი:** პირისპირ გასულმა უინსტონ პარკსმა მეკარე მოატყუა, მაგრამ ცარიელ კარს ააცილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეა-იაპონია 2002
## D ჯგუფი. II ტური

## №30 ს. კორეა 1:1 აშშ

10 ივნისი. დეგუ (კორეა). 11.30, „ვორლდ კაფი". 60 778 მაყურებელი

0:1 მეტისი (24), 1:1 ანი (79)

*ე. ლიმ ვერ გაიტანა პენალტი (40, მეკარე)*

1 ვ. ლი

მწვრთნელი გუს ჰიდინკი

4 ჯ. ჩოი · 20 მ. ჰონგი · 7 ტ. კიმი

5 ნ. კიმი · 6 იოო

22 ჩ. სონგი · 13 ე. ლი

21 პარკი

18 ჰვანგი · 9 სეოლი

11 მეტისი · 20 მაკბრაიდი

17 ბესლი · 10 რეინა · 21 დონოვანი

5 ჯ. ობრაიენი

2 ჰეიდუკი · 12 აგოსი · 22 სანე · 23 პოუპი

1 ფრიდელი

მწვრთნელი ბრიუს არენა

შეცვლა: პარკი – 14. ჩ. ლი (38), ჰვანგი – 19. ანი (56), იოო – 11. ი. ჩოი (70), ბესლი – 7. ლუისი (75), მეტისი – 15. ვოლფი (82)

გაფრთხილება: ჰეიდუკი (30), აგოსი (39), ჰონგი (80)

მსაჯები: ურს მაიერი (შვეიცარია); ეგონ ბერიუტერი (ავსტრია), ალი ტომუსანგე (უგანდა)

| | | |
|---|---|---|
| 17 | *ჯარიმა* | 18 |
| 7 | *კუთხური* | 0 |
| 19 | *კარისკენ დარტყმა* | 6 |
| 10 | *კარში დარტყმა* | 5 |
| 3 | *თამაშგარე* | 3 |



კლინტ მეტისმა (№11) მთელი კორეა დაადუმა

# ამერიკამ მეტის-მეტი მოინდომა

ორე ტაიმი რომ არ ჩაეგდოთ და საერთოდ, ზედიზედ მეორე მატჩია, ამერიკელები ერთი და იგივე ანგარიშით აგებენ მეორე 45-წუთეულს, თუმცა, ისიც ვთქვათ, რომ ამ ჯგუფიდან მერვედფინალში გასვლის ყველაზე კარგი შანსი მაინც ბრიუს არენას ბიჭებს აქვთ.

არენას გონიერმა გუნდმა შესვენებამდე ღირსეულად ითამაშა მოსაგებად შემართულ მასპინძლებთან. იანკებმა შესაშური მონდომებით გადაიტანეს კორეელთა სადებიუტო შტურმი და მეოცე წუთის შემდეგ თავადაც მწყობრად შეუტიეს. კლაუდიო რეინას წყალობით სტუმრები მოედნის შუაწელში გაბატონდნენ, რასაც 24-ე წუთზე კლინტ მეტისის ჩინებული გოლი მოჰყვა. საგოლე შეტევა თავად რეინამ დაიწყო, სწრაფი სეოლის იერიში რომ ჩაშალა და მარცხენა ფლანგზე ჯონ ობრაიენი მოძებნა, რომელმაც გამიზნული პასით მეტისი დატოვა კარგ პოზიციაში და ამერიკელები დაწინაურდნენ.

კორეელი სეოლი ვახსენეთ და სწორედ ამ ფეხბურთელმა სცადა თვისიანთა თამაშის დალაგება, მან თავგატეხილი სუნ-ჰვანგი აიყოლია და ბრედ ფრიდელსაც გვარიანი სამუშაო გაუჩნდა.

15-წუთიან მონაკვეთში კორეელებს არაერთხელ შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ დაცვის ბიჭები და ბრედ ფრიდელი ყოჩაღობდნენ. ამერიკელი მცველები, ერთი კაცის გამოკლებით, საიმედოდ იდგნენ. ტონი სანე და ედი პოპი ლომებივით იბრძოდნენ, მაგრამ მათ ჯეფ აგოსმა ვერ აუბა მხარი. თორმეტნომრიან იანკს თავდაჯერება აკლდა, ბურთის ამოტანაც უჭირდა და მისი პოზიციური შეცდომებიც ხშირად სხვათა გამოსასწორებელი ხდებოდა. სწორედ აგოსი მოხვდა იმ ეპიზოდის ეპიცენტრში, გამოცდილმა ურს მაიერმა საეჭვო პენალტი რომ დანიშნა სტუმართა კარში. სუნ-ჰონგ ჰვანგის და აგოსის ორთაბრძოლისას მაიერმა ამერიკელზე წესების დარღვევა დააფიქსირა. მაიერს, ალბათ, პროფესიულმა ალღომ თუ გააშვერინა საპენალტოდ ხელი ან თავგატეხილი ჰვანგი შეიბრალა, თორემ ერთი შეხედვით ასე გასაწირი არ იყვნენ სტუმრები.

სამართალმა პური ჭამაო — იზეიმეს ამერიკელებმა. ეულ-იონგ ლის უხეიროდ დარტყმული ბურთი ფრიდელმა მოიგერია და კორეელები ყურებჩამოყრილი გავიდნენ შესვენებაზე.

სტუმრებმა ნაცადი ტაქტიკა შეცვალეს მეორე ტაიმში — პირველივე წუთებიდან ჩაუჯდნენ დაცვაში მეტოქეს და ეს იყო იმის უმთავრესი მიზეზი, კორეელები მატჩის შემობრუნებას რომ შეეთამაშნენ. დაცვაში ჩამჯდარ იანკებს გვარიანი ჯაფა დაადგათ, სწრაფმა კორეელებმა 10 წუთში გაასავათეს მეტოქე და ამერიკელებმაც შეცდომებს უხშირეს, მაგრამ სეოლის და კომპანიის მცდელობას შედეგი არ უჩანდა. და საქმეში ჰიდინკი ჩაერთო — ალღოიანმა ჰოლანდიელმა სპეციალისტმა პერუჯელი იუნგ-ჰვან ანი შეიყვანა მოედანზე, რომლის მოხდენილმა თავურმაც 78-ე წუთზე წითლებს ანგარიში გაათანაბრებინა. კორეა ოქროს სამ ქულასაც მოითვლიდა, 89-ე წუთზე ჯეფ აგოსის მომტოვებელი ეულ-იონგ ლის პასის შემდეგ იონგ-სოო ჩოის სამი მეტრიდან კარში რომ მოეხვედრებინა ბურთი.

### ბაატა კვანტალიანი

**ჰოლანდიელი** გუს ჰიდინკის დამოძღვრილმა სწრაფმა კორეელებმა გუშინ მერვედფინალში გასასვლელი უმოკლესი ბილიკი დაკარგეს. მასპინძლებს გადაწითლებული ტრიბუნების მხარდაჭერამაც ვერ უშველა ამერიკელებთან მატჩში. არადა, შეხვედრის მსვლელობიდან გამომდინარე, ჩაუქ აზიელებს გამარჯვებაც შეეძლოთ.

ამ ჩემპიონატზე სიმპათიური იანკები ქების ღირსნი იქნებოდნენ, მე-



მეკარე ბრედ ფრიდელს მწვრთნელმა გმირი უწოდა

## მატჩის შემდეგ

### გუს ჰიდინკი

*სამხრეთ კორეის ნაკრების მწვრთნელი*

დიდ უპირატესობას ვფლობდით და მოგებასაც ვიმსახურებდით, მაგრამ ხუთი-ექვსი ასპროცენტიანი შანსიდან მხოლოდ ერთი გამოვიყენეთ. ამის მიუხედავად, თამაშით კმაყოფილი ვარ, კმაყოფილი ვარ თითოეული ფეხბურთელით. აუტსაიდერებად ვითვლებოდით, ახლა კი ერთი ნაბიჯი და... ჯგუფიდან გავალთ. ვიმედოვნებ, პირველ ბარიერს წარმატებით დავძლევთ, მერე კი ვნახოთ.

### ბრიუს არენა

*აშშ-ის ნაკრების მწვრთნელი*

ფრიდელი მატჩის გმირია. პენალტი მეტად საეჭვო იყო, თუმც მეკარემ გვიხსნა. მან მერეც არაერთხელ გადაგვარჩინა, მაგრამ კორეელებმა მაინც გაიტანეს. მეტოქემ ფიზიკურად გვაჯობა, უფრო მეტს მოძრაობდა და მომენტებიც მრავლად შექმნა. ვფიქრობ, ანგარიში ორივე გუნდს ხელს აძლევდა.

## სტენოგრამა

**მე-3 წუთი:** ჩონგ-გუკ სონგის სახიფათო შეტევა ბრედ ფრიდელმა ჩაშალა.

**მე-6 წუთი:** სუნ-ჰონგ ჰვანგმა კარგი პასი მისცა კი-ჰეონ სეოლს, რომლის დარტყმულიც კარს ასცდა.

**მე-9 წუთი:** ნამ-ილ კიმის გასროლილს მეკარე გაჭირვებით გაუმკლავდა.

**21-ე წუთი:** ლანდონ დონოვანმა კარს ააცილა.

**24-ე წუთი:** კლინტ მეტისმა ჯონ ობრაიენის შორეული პასი მიიღო, ბურთი დაიმორჩილა და მეკარისგან შორეულ კუთხეში ჩასვა.

**29-ე წუთი:** დამარკუს ბესლი მეკარესთან პირისპირ გავიდა, თუმც უხეიროდ დაარტყა.

**39-ე წუთი:** სუნ-ჰონგ ჰვანგის წაქცევისთვის მსაჯმა პენალტი დანიშნა და ჯეფ აგოსსაც ყვითელი აუფრიალა. თერთმეტმეტრიანი ეულ-იონგ ლიმ უხეიროდ შეასრულა — ფრიდელმა ბურთი ნახტომში მოიგერია.

**47-ე წუთი:** კი-ჰეონ სეოლს მეკარემ ფეხით აუღო.

**67-ე წუთი:** დამარკუს ბესლიმ იდეალური პასი მისცა ბრაიან მაკბრაიდს, თუმც მეკარემ ბრწყინვალედ ითამაშა.

**71-ე წუთი:** იონგ-სოო ჩოი მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ბრედ ფრიდელს ვერ აჯობა.

**79-ე წუთი:** საჯარიმოში ჩაწოდებულს იუნგ-ჰვან ანიმ თავი დაუხვედრა და ანგარიში გაათანაბრა.

**89-ე წუთი:** ეულ-იონგ ლიმ რამდენიმე მცველი ჩამოიშორა და იონგ-სოო ჩოიმ ახლოდან ააცილა.

# კორეა-იაპონია 2002
## D ჯგუფი. II ტური

# №32 პორტუგალია 4:0 პოლონეთი

10 ივნისი. ჯეონჯუ (კორეა). 16.30 „ვორლდ კაფი". 39 700 მაყურებელი

1:0, 2:0, 3:0 პაულეტა (14, 65, 77), 4:0 რუი კოშტა (87)




შეცვლა: კალუჟნი – 17. ა. ბაკი (71), ჟურავსკი – 14. მარჩინ ჟევლაკოვი (56), ჟოაუ პინტუ – 10. რუი კოშტა (60), კონსეისაუ – 19. ნუნუ კაპუშუ (69), მიხალ ჟევლაკოვი – 5. რჟასა (71)

გაფრთხილება: სვიერჩევსკი (21), ნუნუ ფრეშაუ (25), ჟორჟე კოშტა (27), რუი ჟორჟე (31), ბაკი (39)

მსაჯები: ჰიუ დალასი (შოტლანდია); იგორ შრამკა (სლოვაკეთი), ვაგიჰ ფარაგი (ეგვიპტე)

| | | |
|---|---|---|
| 15 | ჯარიმა | 20 |
| 2 | კუთხური | 10 |
| 14 | კარისკენ დარტყმა | 15 |
| 9 | კარში დარტყმა | 4 |
| 4 | თამაშგარე | 2 |


REUTERS

ვიტორ ბაია გამოსვლაზე არ ვარგოდა

# წვიმიანი დღე პოლონეთისთვის

**გიორგი დარჯანია**

**„საპორო დოუმის"** მსგავსი სტადიონი, ზემოდან მარსზე აგებულ შენობას რომ ჰგავს, ჯეონჯუშიც რომ აგვოთ, ვინძლო, ცოტა განსხვავებული თამაში ყოფილიყო. მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ „ჯეონჯუ ვორლდ ქაფ სთედიუმს" მაღლიანად აწვიმდა — ისე, რომ სადრენაჟო სისტემა მუშაობას ვერ აუდიოდა და ფეხბურთელებიც მალიმალ სცოდავდნენ სველი ბურთისა და მოედნის გამო. ოღონდ პოლონელთაგან ვინმე წვიმას თუ დააბრალებს შერცხვენას, დავასწროთ და აღვნიშნოთ, რომ პორტუგალიელთათვის ზუსტად ისევე წვიმდა, როგორც პოლონელთათვის.

სხვათა შორის, ჯერ კიდევ ექვსი წლის წინ, როცა კორეა და იაპონია მსოფლიოს ჩემპიონატის თანამასპინძლებად გამოცხადდნენ, ბევრი ამბობდა, ზაფხულობით მაგათთან წვიმების სეზონია და ბურთი ჯიგრიანად არ გაგორდებაო. ამიტომაც იყო, მუნდიალი ჩვეულ დროზე ადრე, მაისის ბოლო დღეს რომ დაიწყო, ეგებ, წვიმის სეზონს ავცდეთ, რომელიც უფრო ივლისისკენ იწყებაო. მართლაც, ჩემპიონატის ოცდათერთმეტმა მატჩმა მშრალად ჩაიარა, ოცდამეთორმეტე კი პირველი ნესტიანი იყო. აქვე დავძინოთ, რომ ოცდამეთორმეტე მატჩის დასრულება ჩემპიონატის ნახევრის ჩამთავრებასაც ნიშნავდა.

მოგეხსენებათ, ამ შეხვედრამდე რამდენიმე საათით ადრე ამავე ჯგუფში ამერიკამ და კორეამ გაარკვიეს ურთიერთობა. დღეური მატჩის შედეგმა ისიც გაარკვია, რომ პორტუგალიასა და პოლონეთს შორის დამარცხებული მუნდიალს დაემშვიდობებოდა, ამიტომაც მატჩი, წვიმის მიუხედავად, თვალსასეირო უნდა ყოფილიყო.

ციდან ვარსკვლავებს წყვეტდნენო, ვერც ერთი გუნდის ფეხბურთელებზე ვერ ვიტყვით, მაგრამ მონდომება არ აკლდათ და შეცდომების გამოსწორებას ერთმანეთისთვის სარმების გამოდებით ცდილობდნენ. ამის გამო განთქმულ სქოთ არბიტრ ჰიუ დალასს პირველ ტაიმში ხუთჯერ მოუხდა ჯიბეზე ხელის გაკვრა ყვითელი ბარათის ამოსაღებად. აი, ერთ ეპიზოდში მსაჯს არკადიუშ ბაკის გაძევებაც შეეძლო, რაკილა პოლონელმა დაუნდობლად ჩაარჭო ქაცვები უკვე წაქცეულ ჟოაუ პინტუს, მაგრამ დალასმა დამნაშავეს გაფრთხილება აკმარა.

თავიდანვე გამოიკვეთა, რომელი გუნდი რით აპირებდა ფონს გასვლას. პოლონელები სამი თავდამსხმელით გავიდნენ სათამაშოდ, თუმც მეტწილად ემანუელ ოლისადებესთვის ცდილობდნენ პასის გახერხებას. ტომით ნიგერიელი თავიდან კიდევ ახერხებდა რალაცეების გაკეთებას სისწრაფის ხარჯზე, მაგრამ თანდათანობით პორტუგალიელი მცველები გაუშინაურდნენ და ბურთს აღარ აკარებდნენ. პორტუგალიელთა მთავარი იარაღი კი მარცხენა ფლანგზე პედრუ პაულეტასთვის გრძელი პასის გაჭრა იყო და თუ როგორ გაუმკლავდნენ პოლონელები ბორდოელ ფორვარდს, მისი ჰეთ ტრიქიდანაც კარგად ჩანს.

პირველი გოლისას ჟოაუ პინტუმ დიაგონალური გადაცემით გაიყვანა პაულეტა, რომლის მეურვეობაც ტომაშ ჰაიტოს ევალებოდა, მაგრამ საშინლად აჭრილი ჰაიტო მეტოქის ფინტმა ისე დააბნია, დარტყმის მომენტში სამ-ოთხი ნაბიჯით ჩამორჩა.

დაკვირვებული თვალი აქ ერთ რამესაც შეამჩნევდა. როცა თანაგუნდელები პაულეტას გოლის მისალოცად შემოეხვივნენ, ლუიშ ფიგუ მათთან ძლივს მილასლასდა, მატჩის დაწყებისთანავე ეტყობოდა, რომ ფორმაში ვერ იყო.

მაგრამ ფიგუმ თავისი საქმე მაინც გააკეთა, მთელი მატჩის მანძილზე ფაქტობრივად ორად-ორი მომენტი ჰქონდა და ორივე ჩინებული — ჯერ პაულეტას საგოლე პასი გაუჭრა, მერე კი ძელს გაარტყა. დავძინოთ, რომ პაულეტას მეორე გოლისას უკვე მარკ კოზმინსკი შეცდა.

65-ე წუთზე 2:0 თითქმის გამარჯვებას ნიშნავდა და პორტუგალიელებმა თავს ცოტაოდენი მოდუნების უფლება მისცეს. ვიტორ ბაიას პაველ კრიშალოვიჩის ახლოდან დარტყმულის მოგერიება მოუხდა, მერე კი იმავ კრიშალოვიჩმა და ჟურავსკის ნაცვლად შესულმა მარჩინ ჟევლაკოვმა საჯარიმოს შიგნიდან ფაქტობრივად დაუცველ კარს ააცილეს.

აღსანიშნავია, რომ ძალიან სუსტად გამოიყურებოდა ვიტორ ბაია. მეკარეს რომ გამოსვლაზე სამჯერ ბურთი ხელიდან გაუვარდება, კარგს არაფერს უნდა ნიშნავდეს. მართალია, ერთ ეპიზოდში არბიტრმა მეკარეზე თავდასხმა აღნიშნა, მაგრამ კრიშალოვიჩი ისეც არ დაეჯახებია, ბაიას ბურთის ვერდაჭერის გასამართლებელი მიზეზი ჰქონდეს.

და სანამ შეტევაზე უკანმოუხედავად გადართული პოლონელები ხავსს ეჭიდებოდნენ, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ პორტუგალიას იმდენი გოლის გატანა შეეძლო, რამდენსაც მოისურვებდა. ფიგუს ძელის შემდეგ სულ ოთხი მწვავე კონტრიერიში განახორციელეს, რომელთაგან ორი გოლით დასრულდა, ორჯერაც პაულეტამ და რუი კოშტამ, თითქოს მეტოქე ბოლომდე გაბითურებისგან დაინდესო, ნაღდი გასატანები ვერ გაიტანეს.

გაბითურება ვახსენეთ და, პაულეტას მესამე გოლი ტომაშ ვალდოხის გაბითურებას მოჰყვა. ბორდოელი ისე გასცდა შალკელს, ეს უკანასკნელი ლამის საკუთარ ფეხებში აიბლანდა. მეოთხე გოლი კი რუი კოშტა — კაპუშუ — რუი კოშტას კომბინაციის ლოგიკური დასასრული იყო.

ეს მატჩი პოლონელთა სამუნდიალო ოცნებების დასასრულიც იყო. გეხსომებათ, სლავებმა დიდი რიხით გაიარეს შესარჩევი ეტაპი, მაგრამ ნელ-ნელა უკლეს და ბოლოს ისე წაუვიდათ საქმე, ჩემპიონატისწინა ამხანაგურ მატჩში ესტონეთი რის ვაი-ვაგლახით დაამარცხეს.

პედრუ პაულეტა კი მუნდიალის მეორე ჰეთტრიქოსანი გახდა მიროსლავ კლოზეს შემდეგ.


REUTERS

პედრუ პაულეტამ ამ გოლით მიროსლავ კლოზეს შედეგი გაიმეორა

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ს. კორეა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| აშშ | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| პორტუგალია | 2 | 1 | 0 | 1 | 6:3 | 3 |
| პოლონეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

### მატჩის შემდეგ

**ეჟი ენგელი**

*პოლონეთის ნაკრების მწვრთნელი*

სამწუხაროდ არ გვყავდა ისეთი ფეხბურთელი, შექმნილი მომენტებიდან ერთს მაინც რომ გამოიყენებდა. თუნდაც 0:1-ზე რამდენიმე საგოლე მომენტი რომ გამოგვეყენებინა, დარწმუნებული ვარ, თამაში სულ სხვა სცენარით გაგრძელდებოდა.

16 წელია, მსოფლიოს ჩემპიონატზე არ გვეთამაშა და ნაწილობრივ ამანაც განაპირობა ჩვენი დამარცხება. ისე კი, ევროპელთაგან პირველები ვიყავით, ამ ჩემპიონატზე რომ მოვხვდით, თუმც ეს არაფერს ნიშნავს, პორტუგალიამ პირწმინდად მოგვიგო.

**ანტონიო ოლივეირა**

*პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელი*

ისე ვითამაშეთ, როგორც ლიდერს შეეფერება, ვისთვისაც თამაშის მოგება პრობლემას არ წარმოადგენს. მიხარია, რომ ამერიკელებთან მარცხის მერე რწმენა არ დავკარგეთ. მომავალ მატჩებში კი ვფიქრობ, ეს ფაქტორი გადამწყვეტი იქნება.

კორეელებთან წინ რთული მატჩი გველის. ისინი სწრაფები არიან და ფაქტობრივად არ იღლებიან. ერთადერთი შედეგი, რაზეც ვითამაშებთ, მოგება იქნება.

### სტენოგრამა

**მე-4 წუთი:** რადუსლავ კალუჟნიმ 20 მეტრიდან დაარტყა ბურთი კარს ასცდა.

**მე-9 წუთი:** პედრუ პაულეტას დარტყმულმა მიზანს ვერ უწია.

**მე-10 წუთი:** პედრუ პაულეტას ირჟი დუდეკმა აუღო.

**მე-14 წუთი:** პედრუ პაულეტამ საჯარიმოში ბურთი მიიღო, მცველი იოლად ჩამოიშორა და ირჟი დუდეკს ახლო კუთხეში გაუტანა.

**42-ე წუთი:** პაულეტას დარტყმული არაზუსტი გამოდგა.

**30-ე წუთი:** პედრუ პაულეტა მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ირჟი დუდეკმა იმარჯვა.

**36-ე წუთი:** არმანდუ პეტის სუსტ დარტყმას მეკარე იოლად გაუმკლავდა.

**მე-40 წუთი:** ლუიშ ფიგუს ირჟი დუდეკმა აჯობა.

**51-ე წუთი:** მეკარესთან პირისპირ ჟოაუ პინტუ დარჩა, მაგრამ ვერ იხეირა.

**59-ე წუთი:** პოლონელებმა გოლის გატანა შეძლეს, მაგრამ მსაჯმა მეკარის წინააღმდეგ უხეშობისთვის ჯარიმა დანიშნა.

**65-ე წუთი:** ლუიშ ფიგუს განივ პასს პედრუ პაულეტამ ფეხი დაუხვედრა და მეორედ დაამწუხრა ირჟი დუდეკი.

**67-ე წუთი:** ლუიშ ფიგუს მოჭრილი დარტყმა ძელს მოხვდა.

**75-ე წუთი:** არმანდუ პეტის გასროლილი ოდნავ ასცდა კარს.

**77-ე წუთი:** პედრუ პაულეტამ მცველი მოატყუა და მეკარეს შანსი არ დაუტოვა — 3:0.

**85-ე წუთი:** პედრუ პაულეტა პირისპირ გავიდა, მეკარე მოატყუა, მაგრამ მახვილი კუთხიდან კარში ზუსტად დარტყმა ვერ შეძლო.

**88-ე წუთი:** ნუნუ კაპუშუს ჩაწოდებულზე რუი კოშტამ მცველს დაასწრო და ვარდნაში მეოთხე გოლი გაიტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეა-იაპონია 2002
## G ჯგუფი. II ტური

# №25 იტალია 1:2 ხორვატია

8 ივნისი. იბარაკი (იაპონია). 14.00 „კაშიმა სოკერი". 36 472 მაყურებელი

1:0 ვიერი (55), 1:1 ოლიჩი (73), 1:2 რაპაიჩი (76)

**იტალია** — მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი

1 ბუფონი

2 პანუჩი, 13 ნესტა, 5 კანავარო, 3 მალდინი

17 ტომაზი, 6 კ. ძანეტი

19 ძამბროტა, 11 დონი

10 ტოტი

21 ვიერი

**ხორვატია** — მწვრთნელი მირკო იოზიჩი

11 ბოკშიჩი

5 რაპაიჩი, 10 ნ. კოვაჩი, 7 ვუგრინეცი

14 სოლდო, 4 ტომაში

17 იარნი, 3 სიმუნიჩი, 21 რ. კოვაჩი, 15 სარიჩი

1 პლეტიკოშა

შეცვლა: ნესტა – 23. მატერაცი (23), ვუგრინეცი – 18. ოლიჩი (57), სოლდო – 16. ვრანიეში (63), დონი – 9. ინძაგი (79), რაპაიჩი – 20. შიმიჩი (79)

გაფრთხილება: რ. კოვაჩი (39), ვიერი (51)

მსაჯები: გრემ პოლი (ინგლისი); ფილ შარპი (ინგლისი), იენს ლარსენი (დანია)

| | | |
|---|---|---|
| 27 | ჯარიმა | 21 |
| 5 | კუთხური | 4 |
| 10 | კარისკენ დარტყმა | 10 |
| 7 | კარში დარტყმა | 7 |
| 4 | თამაშგარე | 0 |




არბიტრმა ფილიპო ინძაგის გოლის სიხარული ჩაუშწარა

# პოლით ერთი ხორვატიის სასარგებლოდ

**პაატა კოღუა**

**ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲔᲗ**: იენს ლარსენი დანიელი მსაჯია, რომელიც შაბათს, იბარაკიში, იტალიისა და ხორვატიის ნაკრებთა შეხვედრაში, დროშით ხელში დარბოდა აუტის ხაზის გასწვრივ და საშინელ შეცდომებს უშვებდა — „სკუადრა აძურას" ორი გოლი არ ჩაუთვალა. უფრო სწორად, გოლები ინგლისელმა გრემ პოლმა არ ჩათვალა, ოღონდ ლარსენის კარნახით. და რატომ დასჭირდა პოლს ლარსენის კარნახი? იმიტომ, რომ მეორე არჩათვლილი გოლის დროს მოვლენათა ეპიცენტრიდან შორს იდგა.

ასეც ვთქვათ: წინა დღეს, მოვლენათა ეპიცენტრიდან პოლის მიერ დაჩაგრული იტალიელების თანამემამულე პიერლუიჯი კოლინა მახავით შორს რომ მდგარიყო, პოლის თანამემამულე ინგლისელები პენალტს ვერ დაარტყამდნენ და არგენტინას ვერ დაამარცხებდნენ.

პირველი გოლი არარსებული ოფსაიდის გამო არ ჩაითვალა, მეორე კი იმიტომ, რომ თანამსაჯი ლარსენის აზრით იტალიელი თავდამსხმელი ფილიპო ინძაგი ხორვატ მცველს მაისურაზე ჰქაჩავდა, მაშინ, როდესაც იმ ეპიზოდში მეტოქეები ჩვეულებრივად ებრძოდნენ ერთმანეთს და ჩვეულებრივად, ორმხრივ ეკიდებოდნენ სამოსზე. თუ გრემ პოლს ასეთ მომენტებში სტვენა, ხოლო იენს ლარსენს დროშის ქნევა სჩვევიათ, მაშინ არბიტრი ნებისმიერ შეხვედრას განუწყვეტელი სტვენით, თანამსაჯი კი დროშის ისტერიული ქნევით უნდა ატარებდეს.

ერთი სიტყვით, იტალიის ნაკრები იმ დღეს დაითარსა. მისტიკოსებს შეუძლიათ თქვან, რომ „სკუადრა აძურას" და მის მწვრთნელ ჯოვანი ტრაპატონის რობერტო ბაჯოს ცოდვამ უწიათ, თუმცა ამ თემას ნულარ განვავრცობთ.

ხორვატებზე კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ყოჩაღად ითამაშეს, მით უფრო, პირველ მატჩთან შედარებით, როდესაც ისინი მექსიკამ დაამარცხა. როგორც ჩანს, იმ მარცხის შემდეგ ყოფილ იუგოსლავიელთა ბანაკში სერიოზული საუბარი გაიმართა, რის შედეგადაც იტალიის ნაკრების წინააღმდეგ სულ სხვა გუნდი წარსდგა, როგორც შემადგენლობით, ასევე შინაარსით. კერძოდ, ხორვატთა სასტარტო შემადგენლობაში აღარ იყვნენ თვით დავორ შუკერი, რობერტ პროსინეჩკი.

„სკუადრა აძურას" შემადგენლობაში ერთადერთი ცვლილება იყო: ლუიჯი და ბიაჯოს ფეხში ფრჩხილი შეეზარდა და მის ნაცვლად ნახევარდაცვაში კრისტიანო ძანეტი ვიხილეთ. სხვა, ყველაფერი ძველებურად დაგვიხვდა — არც პაოლო მალდინის ტრავმა ყოფილა სერიოზული (არადა, თამაშამდე ამაზე ბევრს ლაპარაკობდნენ) და არც ფილიპო ინძაგის გამოჯანმრთელების გამო შეუცვლია ტრაპატონის რამე.

თავიდანაც ყველაფერი ისე იყო, გუნდების, უფრო სწორად კი ქვეყნების სახელი და საფეხბურთო ავტორიტეტი რომ გვკარნახობს: ინიციატივას „სკუადრა აძურა" ფლობდა, ხოლო ხორვატია კარის უსაფრთხოებაზე ფიქრობდა, მაგრამ დაახლოებით 25-ე წუთისთვის სურათმა ცვლა დაიწყო. ხორვატებმა ერთი-ორჯერ მეტოქის კარს საშუალო და შორი მანძილიდან დაუმიზნეს ბურთი, შემდეგ კი დავორ ვუგრინეცისა და ალენ ბოკშიჩის მონაწილეობით ისეთი კომბინაცია გაათამაშეს, რომ ჯანლუიჯი ბუფონს გვარიანი რეაქციის ჩვენება მოუხდა. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის იტალიელებს თარსმა დღემ უკვე ანიშნა, თქვენს წინააღმდეგ ვარო — ალესანდრო ნესტა დაშავდა და მარკო მატერაცით შეიქნა შესაცვლელი.

დაახლოებით 30-ე წუთისთვის ხორვატთა იერიშები კიდევ უფრო გამწვავდა, თუმცა ტაიმის ბოლოს ემოციები ჩაცხრა და გუნდებმა მშვიდად მიაშურეს გასახდელს.

შესვენების შემდეგ, რამდენიმე უემოციო წუთი რომ გავიდა, თავი დროშიანმა დანიელმა შეგვახსენა — კრისტიან ვიერის გოლი არ ჩაუთვალა. მერე კი გოლი გავიდა: მარჯვნიდან კრისტიანო დონიმ ხორვატთა საჯარიმოში ჩაჰკიდა, სადაც დიდებული ვიერი მეურვეზე მაღლა ახტა და ზუსტად შეასრულა თავური. მაგრამ გამოხდა დრო და ხორვატია გადაირია: ოთხწუთიან მონაკვეთში ორი გოლი შეაგდო, რისთვისაც საგანგებო მადლობა მატერაცისა და მალდინის წყვილს უნდა უძღვნას.

ამრიგად, იტალია ჩამორჩა და, როგორც მოსალოდნელი იყო, გააქტიურდა, დონ ტრაპიმ დონი ფილიპო ინძაგითაც კი შეცვალა, მაგრამ, აბა, მსაჯად პოლი იყო, თანამსაჯად კი ლარსენი და...




ივიცა ოლიჩმა მარკო მატერაციც ჩამოიშორა და მეკარე ბუფონიც მოატყუა

## მატჩის შემდეგ

### მირკო იოზიჩი

*ხორვატიის ნაკრების მწვრთნელი*

ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იყო. ჩვენი ბიჭები გმირები არიან. ბოლო ოც წუთში სამმა ფეხბურთელები ტრავმა მიიღო და არ ვიცოდი არ მექნა, თუმც მათ ბოლომდე ითამაშეს და მზად იყვნენ, ერთმანეთისთვის თავი გაეწირათ. მადლობა ყველას, ისინი შეუდარებელნი იყვნენ.

### ჯოვანი ტრაპატონი

*იტალიის ნაკრების მწვრთნელი*

კარგი თამაში გამოვიდა. ვფიქრობ, ლოგიკური შედეგი ფრე იქნებოდა. არჩათვლილი გოლებიდან, ორივე თუ არა, ერთი უეჭველად წესების დაცვით გავიტანეთ. სამწუხაროა, რომ მსაჯმა ასეთი უხეში შეცდომა დაუშვა. წაგების მიუხედავად შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი გვაქვს.

## სტენოგრამა

**მე-4 წუთი:** ფრანჩესკო ტოტის საჯარიმო დარტყმა უშედეგო გამოდგა.

**მე-5 წუთი:** ჯანლუკა ძამბროტას 22 მეტრიდან დარტყმული მეკარემ მოიგერია.

**მე-10 წუთი:** კრისტიან პანუჩიმ კარგი პასი მისცა კრისტიან ვიერის, მაგრამ მან ბურთი ვერ დაიმორჩილა.

**მე-15 წუთი:** კრისტიანო დონის მეკარემ აჯობა.

**მე-18 წუთი:** ნიკო კოვაჩის სახიფათო გადაცემა მცველებმა ჩაჭრეს.

**22-ე წუთი:** დავორ ვუგრინეცის ძლიერ დარტყმას ჯანლუიჯი ბუფონი გაუმკლავდა.

**25-ე წუთი:** ზვონიმირ სოლდომ კარს ოდნავ ააცილა.

**26-ე წუთი:** დავორ ვუგრინეცმა მილან რაპაიჩს ზუსტი პასი მისცა, ამის დარტყმულს კი მეკარე გადაელობა.

**29-ე წუთი:** მილან რაპაიჩის შორეული დარტყმა ჯანლუიჯი ბუფონმა აიღო.

**41-ე წუთი:** საჯარიმოში სახიფათოდ შეჭრილ ჯანლუკა ძამბროტას მცველმა ვარდნაში აართვა ბურთი.

**45-ე წუთი:** მილან რაპაიჩისა და ჯანლუიჯი ბუფონის დუელი იტალიელის სასარგებლოდ დასრულდა.

**50-ე წუთი:** ფრანჩესკო ტოტის იდეალურ გადაცემას კრისტიან ვიერიმ შედეგიანად დაჰკრა და გოლი გაიტანა, თუმც თანამსაჯმა თამაშგარეს ნიშნად ალამი აღმართა.

**55-ე წუთი:** კრისტიანო დონის ჩაწოდებულს კრისტიან ვიერიმ ულამაზესი თავური მიაყოლა და ბურთი შორეულ ცხრიანში ჩააჭედა.

**73-ე წუთი:** რობერტ იარნის განივ პასს იტალიელი მცველები, პაოლო მალდინი და მარკო მატერაცი დაბნეულნი დახვდნენ და ივიცა ოლიჩმა ანგარიში გაათანაბრა.

**76-ე წუთი:** მილან რაპაიჩის ვარდნაში დარტყმული იტალიელთა კარში ჩაეშვა. მეკარე უძლური იყო.

**87-ე წუთი:** ფრანჩესკო ტოტის საჯარიმო დარტყმის მერე ბურთი ძელს მოხვდა.

**89-ე წუთი:** ჯანლუკა ძამბროტას გასროლილს მეკარე გაუმკლავდა.

**90-ე წუთი:** ფრანჩესკო ტოტიმ კრისტიან პანუჩის თავზე დაასვა ბურთი. მან ორიოდ მეტრიდან ზემოდან გადააცილა კარს.

**90-ე წუთი:** ფილიპო ინძაგიმ გაიტანა, მაგრამ მსაჯმა იტალიელი თავდამსხმელი დააჯარიმა და გოლი არ ჩათვალა.

# კორეა-იაპონია 2002
## G ჯგუფი. II ტური
# №27 მექსიკა 2:1 ეკვადორი

9 ივნისი. მიიაგი (იაპონია). 11.30 „მიიაგი სთადიუმ". 45 610 მაყურებელი

0:1 დელგადო (5), 1:1 ბორგეტი (28), 2:1 ტორადო (57)

მწვრთნელი ხავიერ აგირე

1 პერესი
4 მარკეში
5 ვიდრიო — 16 კარმონა
6 ტორადო
21 არელანო — 7 რამონ მორალესი
18 ა. როდრიგესი — 11 ლუნა
10 ბლანკო — 9 ბორგეტი

9 კავიედესი — 11 დელგადო
16 კ. კალა
20 ე. ტენორიო — 19 ე. მენდესი
5 ობრეგონი
2 პოროსო — 4 დე ლა კრუზი
6 გუერონი — 3 ურტადო
1 სევალიოსი

მწვრთნელი ერნან დარიო გომესი

შეცვლა: ე. ტენორიო – 15. მ. აიოვი (35), კავიედესი – 18. კ. ტენორიო (53), ობრეგონი – 10. აგინაგა (58), ბორგეტი – 15. ლ. ერნანდესი (77), როდრიგესი – 19. კაბალიერო (87), ბლანკო – 13. მერკადო (90)

გაფრთხილება: კავიედესი (15), სევალიოსი (27), გუერონი (49), კ. ტენორიო (60), ტორადო (65), დელგადო (88)

მსაჯები: მურად დაამი (ტუნისი);
ტაუფიკ აჯენგუი (ტუნისი), შაიდარ კოლეტი (ლიბერია)

| | | |
|---|---|---|
| 10 | ჯარიმა | 20 |
| 3 | კუთხური | 3 |
| 11 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 7 | კარში დარტყმა | 4 |
| 7 | თამაშგარე | 2 |


REUTERS
ოსკარ პერესი ეკვადორელთა გასროლილს ვერ შესწვდა

# მოიგო, მაგრამ რა მოიგო?

**პაატა კიდია**

**მექსიკამ** გვარიანად იწვალა და ისე დაამარცხა ეკვადორი.

მერე? მერე ის, რომ ორ თამაშში გამარჯვებულს, მესამეში, იტალიასთან ფრე სჭირდება. წაგების შემთხვევაში იტალია გავა, თავად კი ჯგუფში დარჩება, თუ რა თქმა უნდა, ხორვატიამ ეკვადორთან არ წააგო ან ფრე არ ითამაშა. მაგრამ თქვენ გჯერაც ამის?

ერთი სიტყვით, ვარიანტი ბევრია, მაგრამ ამ ვარიანტების თვლას მექსიკელთათვის ეკვადორის კარში მეტი გოლის გატანა სჯობდა, თუმცა მაგას ვინ ჩივის, როდესაც მექსიკა თავიდან სულაც მარცხდებოდა.

დიახ, მსოფლიოს ჩემპიონატის დებიუტანტმა მე-5 წუთზევე შესთავაზა მეტოქეს სიურპრიზი: მარჯვენა ფრთიდან ჰიბერნიანელმა ულისეს დე ლა კრუზმა მაღალი პასი ჩააწოდა საჯარიმოში, სადაც აგუსტინ დელგადო აფრინდა და მექსიკელების მეკარეს, ოსკარ პერესს თავით აუღებელი ბურთი დაურტყა.

აღსანიშნავია, რომ დელგადო, რომელიც წინა სეზონში „ნეკაქსამ" სარფიანად გაყიდა „საუთჰემპტონში", ოპერაციის შემდეგ დიდი ხანი არ არის, რაც მოედანს დაუბრუნდა და თავის 48-ე სანაკრებო თამაშში 22-ე გოლი გაიტანა.

მაგრამ ამ გოლის შემდეგ მექსიკელებმა მთლიანად იგდეს ინიციატივა ხელთ და ცალკეული კონტრმომენტების მიუხედავად შეხვედრის ბატონ-პატრონებად მოგვევლინენ. ბურთის ფლობის თანაფარდობაც შთამბეჭდავი გახლდათ — 80 პროცენტამდე მექსიკელებისა იყო. შესაბამისად, პირველი ტაიმის 28-ე წუთზე მორალესმა მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა, ხოლო ხარედ ბორგეტიმ ტექნიკურად დაარტყა და ანგარიში გაქვითა.

შესვენების შემდეგაც იგივე გაგრძელდა: მექსიკა უტევდა, ეკვადორი კი თავს იცავდა, და ეს უპირატესობა 57-ე წუთზე ნახევარმცველის, ხერარდო ტორადოს გოლით დადასტურდა.

| სატურნირო ვითარება | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მექსიკა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| იტალია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ხორვატია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ეკვადორი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

## სტენოგრამა

**მე-5 წუთი:** ულისეს დე ლა კრუზის მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულს აგუსტინ დელგადომ თავი დაჰკრა და ულამაზესი გოლი გაიტანა.

**მე-18 წუთი:** რამონ მორალესის დარტყმულს მეკარე გაუმკლავდა.

**28-ე წუთი:** რამონ მორალესის კარგი პასი ხარედ ბორგეტიმ შედეგიანი დარტყმით დააგვირგვინა.

**31-ე წუთი:** ლუნას სახიფათო თავური კარს ასცდა.

**33-ე წუთი:** ალფონსო ობრეგონის დარტყმამ მიზანს ვერ უწია.

**40-ე წუთი:** ხესუს არელანოს აქტიურობა მეკარემ ჩააცხრო.

**41-ე წუთი:** კუაუტემოკ ბლანკოს ხოსე სევალიოსმა აუღო.

**49-ე წუთი:** ბრაულიო ლუნას საჯარიმო დარტყმა ოდნავ ასცდა კარს.

**57-ე წუთი:** ხერარდო ტორადო საჯარიმოს მოუახლოვდა და უძლიერესად გაისროლა. მეკარე უძლური აღმოჩნდა.

**58-ე წუთი:** ალფონსო ობრეგონის დარტყმა მცირედით ასცდა კარს.

**66-ე წუთი:** რაულ გუერონს გოლის გატანა მექსიკელთა მეკარემ არ დაანება.

**68-ე წუთი:** ალბერტო როდრიგესმა რამონ მორალესის იდეალური გადაცემა ვერ შეიშნო.

**69-ე წუთი:** ხარედ ბორგეტის სახიფათო დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

**70-ე წუთი:** ხარედ ბორგეტის დარტყმული ამჯერად ძელს მოხვდა.

**81-ე წუთი:** ედვინ ტენორიოს გასროლილი მეკარემ კუთხურზე მოიგერია.

**87-ე წუთი:** ვალტერ აიოვიმ ოდნავ ააცილა.

**90-ე წუთი:** კუაუტემოკ ბლანკოს მეკარემ აუღო.


REUTERS
ხოსე სევალიოსმა მის კარში გასულ პირველ ბურთს შორიდან შეხედა

## მატჩის შემდეგ

**ხავიერ აგირე**
*მექსიკის ნაკრების მწვრთნელი*

შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, თუმც დიდი ანგარიშით მოგებაც შეგვეძლო. ისე, იყო ეპიზოდები, როცა მეტოქე უკეთ ირჯებოდა და შესაძლებელი იყო დავსჯილიყავით.

ეკვადორი განსაკუთრებით მეორე ნახევარში გააქტიურდა, მაშინ, როცა შეცვლაზე შემოსულმა ფეხბურთელებმა სისწრაფეს უმატეს და იძულებულნი ვიყავით, დაცვაზე გვეფიქრა.

საბოლოოდ, სამი ქულა კი მოვიპოვეთ, მაგრამ წინ იტალიასთან შეხვედრა გველის, აუცილებლად მოგება გვჭირდება შემდეგ ეტაპზე გასასვლელად. ვნახოთ, თუ ხორვატებს გამოუვიდათ მათთან თამაში, ჩვენ რითი ვართ ნაკლებნი, თანაც ფრეც ხელს გვაძლევს.

**ერნან დარიო გომესი**
*ეკვადორის ნაკრების მწვრთნელი*

პირველ წუთებში ტოლსწორი ბრძოლა იყო, რომელშიც ვიყოჩაღეთ და დავწინაურდით, მაგრამ შემდეგ მექსიკელებმა სამწუხაროდ იძალეს და გაგვითანაბრეს. ორი ადრეული ცვლილება ამიტომაც გავაკეთე.

თამაშის მიწურულს გატანის რამდენიმე შესაძლებლობა გვქონდა, ფრეს ნაღდად ვიმსახურებდით, მაგრამ იღბალმა ზურგი გვაქცია. მარტო ესეც არ არის, ჩვენი ფეხბურთელები ჯერ ახალგაზრდები არიან და გამოცდილებაც აკლიათ.

მოკლედ, მეორე მატჩშიც დავმარცხდით. შემდეგ ეტაპზე გასვლა, ახლა უკვე თითქმის წარმოუდგენელია, თუმც ხორვატებთან შეხვედრაში ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე შემთხვევით არ მოვხვედრილვართ.


REUTERS
ეკვადორელმა კლებერ კალამ ხარედ ბორგეტის ლამის ფეხებს შუა იმოსცხო

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# კორეა-იაპონია 2002
## H ჯგუფი. II ტური

## №29 იაპონია 1:0 რუსეთი

9 ივნისი. იოკოჰამა (იაპონია). 16.30 „ინტერნეიშენელ სთედიუმ". 66 108 მაყურებელი

1:0 ინამოტო (51)

12 ნარაზაკი

მწვრთნელი ფილიპ ტრუსიე

3 მაცუდა | 17 მიამოტო | 16 კ. ნაკატა

21 ტოდა | 5 ინამოტო

20 მიოინი | 18 ონო

7 ჰ. ნაკატა

13 იანაგისავა | 11 სუზუკი

19 პიმენოვი

20 იზმაილოვი

9 ტიტოვი

6 სემშოვი | 8 კარპინი

3 ნიკიფოროვი | 4 სმერტინი

2 კოვტუნი | 7 ონოპკო | 5 სოლომატინი

მწვრთნელი ოლეგ რომანცევი

1 ნიგმატულინი

შეცვლა: პიმენოვი – 22. სიჩევი (46), იზმაილოვი – 21. ხოხლოვი (52), სმერტინი – 11. ბესჩასტნიხი (57), სუზუკი – 10. ნაკაიამა (72), ონო – 6. ჰატორი (75), ინამოტო – 15. ფუკუნიში (85)

გაფრთხილება: პიმენოვი (13), მიამოტო (16), სოლომატინი (38), კ. ნაკატა (42), ნიკიფოროვი (60), ნაკაიამა (90)

მსაჯები: მარკუს მერკი (გერმანია); ჰაინერ მიულერი (გერმანია), ევზენ ამლერი (ჩეხეთი)

| | | |
|---|---|---|
| 31 | ჯარიმა | 31 |
| 1 | კუთხური | 3 |
| 9 | კარისკენ დარტყმა | 15 |
| 2 | კარში დარტყმა | 4 |
| 0 | თამაშგარე | 4 |



რუსლან პიმენოვი მეკარე ნარაზაკისთან ვერაფერს გახდა

# რუსეთი დაილეწა

სოლომონ გულისაშვილი

**რუსეთმა** თანამასპინძელ იაპონიასთან წააგო. წააგო და მოსკოვში ისეთი ამბები დატრიალდა, აქამდე რომ არავის ახსოვს. მთვრალმა და გადარეულმა ფანებმა ქალაქის ცენტრში ყველაფერი დალეწეს, მაღაზიების, რესტორნებისა და ოფისების შუშა-ვიტრინებისგან აღარაფერი დატოვეს, ათეულობით მანქანა გადააბრუნეს და დაწვეს, მათ შორის სასწრაფო დახმარებისაც, რომელიც დაშავებულთა წასაყვანად გამოჩნდა. ჩაამსხვრიეს გოსდუმისა და სასტუმრო „მოსკვას" შუშებიც. ხუთი იაპონელი სასტიკად სცემეს, დაარბიეს იაპონური და ჩინური რესტორნებიც.

არეულობები „მანეჟზე" დაიწყო, სადაც უზარმაზარი ტელევიზორი დაედგათ და მერე ახლო-მახლო ქუჩებსაც მოედო. ხელკეტებით და ასაფეთქებელი ბოთლებით შეიარაღებული ფანები შემთხვევით გამვლელებსაც თავს ესხმოდნენ, შედეგად დანით დაჭრილი ერთი ადამიანი დაიღუპა, ერთი პოლიციელი მძიმე მდგომარეობაშია, ასამდე კი დაჭრილია. 17 წლის ბიჭი თავის მოკვლასაც ეცადა, მაგრამ დროზე მიუსწრეს და საავადმყოფოში წაიყვანეს.

მილიცია და ომონი არცთუ აქტიურად ჩარეულა ამ ამბებში და რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში დიდი ნერვიულობაა ატეხილი, მინისტრი ბორის გრიზლოვი სანკტ პეტერბურგიდან მაშინვე გაფრენილა მოსკოვში. დუმის ფრაქცია „ედინსტვოს" წარმომადგენელის თქმით, მომხდარზე პასუხისმგებლობა სამართალდამცავებმაც უნდა იკისრონ, რადგან არეულობა მხოლოდ რუსთა წაგების ბრალი არ არის, ის მოგების შემთხვევაშიც შეიძლება მომხდარიყო. მართლაც, საიდან ჰქონდათ ფანატებს ხელკეტები, ასაფეთქებელი ბოთლები და მაშხალები? ვითომ მიზეზი ფეხბურთია?

მოკლედ, მოსკოვის ცენტრი დაილეწა, იოკოჰამაში კი, სადაც იაპონიამ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა, დიდ ხანს არ შეწყდარა ზეიმი. სიტყვა „ისტორიული" კი იმიტომ ვიხმარეთ, რომ ეს ამომავალი მზის ქვეყნის შვილების პირველი მოგება გახლდათ მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ერთადერთი გოლი მეორე ტაიმის დასაწყისში ლონდონის „არსენალის" 22 წლის ქერად თმაშეღებილმა ნახევარმცველმა იუნიჩი ინამოტომ გაიტანა.



იუნიჩი ინამოტომ ისტორიული გოლი გაიტანა

რუსთა დაშავებული ლიდერი ალექსანდრ მოსტოვოი კვლავაც სათადარიგოთა სკამიდან უცქერდა მატჩს. შედეგად, ტუნისთან პირველი შეხვედრისგან განსხვავებით, მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა სასტარტოში ერთი ფეხბურთელი შეცვალა, თავდამსხმელ ბესჩასტნიხის ნაცვლად მოედანზე ალექსეი სმერტინი გამოჩნდა, მან საყრდენის ადგილი დაიკავა, ხოლო ეგორ ტიტოვმა წინ წაიწია და პლეიმეიკერობას შეეჭიდა, თუმცა ამ საქმიდან ბევრი არაფერი გამოსულია. ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე კვლავ ითამაშა იგორ სემშოვმა, ვინც წინა მატჩში მოისუსტებდა და ამჯერადაც მეორე ტაიმში აშკარად დაიღალა. თავდასხმაში კი რუსებს ერთადერთი პიმენოვი ჰყავდათ. ასე რომ, თავიდანვე ნათელი იყო, სტუმრებს დაცვითი ტაქტიკა აერჩიათ.

იაპონელთა შემადგენლობაში იჩიკავა მიოინმ შეცვალა, ხოლო თეძონატკენი მორიოკას ნაცვლად მინდორზე „ადამიანი ნიღაბში", ტუნელასო მიამოტო გამოჩნდა, ვისაც ცხვირი ზედ მუნდიალის დაწყების წინ გაუტეხავს.

ობიექტურად, ალბათ, რუსებს უფრო ძლიერი გუნდი ჰყავთ, აკი უთქვამს კიდეც ცნობილ ფრანგ მწვრთნელ გი რუს, სხვა ქვეყანაში რომ ეთამაშათ, რუსები დიდი ანგარიშით გაიმარჯვებდნენო, მაგრამ იაპონელებმა სწორედ შესაშური თავდადებისა და ისტერიული მხარდაჭერის წყალობით მოიგეს.

მათი მთავარი კოზირი კი გუნდური სულისკვეთება და სისწრაფე იყო. სისწრაფე, რომელსაც რუსებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. და კიდევ– თუ რუსთა შუახაზელ ვალერი კარპინს დავუჯერებთ, ასეთი ცუდი მსაჯობა ჩემპიონატზე ჯერ არ ყოფილა...

რუსებს გათანაბრების ყველაზე რეალური შანსი 58-ე წუთზე მიეცათ, როცა შეცვლაზე შესული ბესჩასტნიხი მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, ნარაზაკიც მოატყუა, მაგრამ ცარიელ კარში ვერ შეაგდო. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, „მანეჟიზე" არეულობები სწორედ ამ ეპიზოდის შემდეგ დაწყებულა.

კიდევ რა, პირველ ტაიმში იყო მომენტი, როცა სემშოვის წაქცევისთვის მსაჯს შეეძლო პენალტიც დაენიშნა, ხოლო ბოლოსკენ ჰიდეტოში ნაკატამ სადღაც 25 მეტრიდან ბურთი რუსთა კარის ხარიხას მოარტყა.

## მატჩის შემდეგ

### ფილიპ ტრუსიე

*იაპონიის ნაკრების მწვრთნელი*

დღეს მთელი იაპონია ზეიმობს. ჩვენთვის ეს გამარჯვება ისტორიულია. დიდებულად ვითამაშეთ და დამსახურებულადაც მოვუგეთ გუნდს, რომელიც ჯგუფში პირველ ადგილს უმიზნებდა. ვფიქრობ, ამაზე არ გავჩერდებით და ჯგუფიდანაც გავაღწევთ. ამისთვის ტუნისთან არ უნდა წავაგოთ, ჩვენც მხოლოდ მოსაგებად ვითამაშებთ.

### ოლეგ რომანცევი

*რუსეთის ნაკრების მწვრთნელი*

დასანანი მარცხი ვიწვნიეთ. იაპონელებმა ბევრ რამეში გვაჯობეს, განსაკუთრებით შეტევაში ირჯებოდნენ ჩვენზე ბევრად უკეთ. მათ მიერ გატანილი გოლი ცოტა საეჭვო კი იყო, მაგრამ ახლა ამაზე ლაპარაკს არ ვაპირებ, წინ ურთულესი მატჩი გველის ბელგიელებთან და მთელი ყურადღება მასზე უნდა გადავიტანოთ.

## სტენოგრამა

**მე-3 წუთი:** რუსლან პიმენოვის პასს იგორ სემშოვმა თავი დაჰკრა, მაგრამ ააცილა.

**მე-4 წუთი:** იუნიჩი ინამოტოს 22 მეტრიდან დარტყმული არაზუსტი გამოდგა.

**მე-7 წუთი:** შინჯი ონოს ჩაწოდებულს იუნიჩი ინამოტო ვერ შესწვდა.

**მე-12 წუთი:** ალექსეი სმერტინის დარტყმა კარს ასცდა.

**მე-16 წუთი:** მარატ იზმაილოვის სახიფათო დარტყმა სანტიმეტრებით ასცდა კარს.

**მე-17 წუთი:** იური ნიკიფოროვის დარტყმული ზემოდან გადასცდა იაპონელთა კარს.

**23-ე წუთი:** ჰიდეტოში ნაკატამ არაზუსტად დაარტყა.

**28-ე წუთი:** კოჯი ნაკატამ კარს ააცილა.

**32-ე წუთი:** იგორ ტიტოვის უზუსტეს პასს რუსლან პიმენოვი კი შეჰყვა, მაგრამ მეკარემ გამოსვლაზე ბრწყინვალედ ითამაშა.

**36-ე წუთი:** შინჯი ონოს დარტყმულმა მიზანს ვერ უწია.

**47-ე წუთი:** საჯარიმოში შეჭრილ მარატ იზმაილოვს მეკარემ დაასწრო.

**51-ე წუთი:** ხელსაყრელ პოზიციაში მყოფმა იუნიჩი ინამოტომ ბურთი მიიღო, დაამუშავა და შორეულ ცხრიანში ჩაჭედა — 1:0.

**55-ე წუთი:** დმიტრი სიჩევის 25 მეტრიდან დარტყმული სუსტი გამოდგა.

**58-ე წუთი:** დმიტრი ხოხლოვმა ვლადიმირ ბესჩასტნიხი პირისპირ გაიყვანა, მან მეკარე მოატყუა, მაგრამ ცარიელ კარს ააცილა.

**61-ე წუთი:** ჰიდეტოში ნაკატას დარტყმული კარს გადასცდა.

**62-ე წუთი:** იანაგისავამ უხეიროდ დაარტყა.

**69-ე წუთი:** დმიტრი სიჩევს მეკარემ აუღო.

**70-ე წუთი:** ჰიდეტოში ნაკატას გასროლილი ხარიხას მოხვდა.

**76-ე წუთი:** დმიტრი ხოხლოვმა მცველი ჩამოიცილა და კარში დაარტყა. მეკარემ იმარჯვა.

**81-ე წუთი:** იური ნიკიფოროვმა არაზუსტად დაარტყა.

**84-ე წუთი:** დმიტრი სიჩევის დარტყმული მეკარემ გააუვნებელა.

**88-ე წუთი:** დმიტრი ხოხლოვმა კარს ააცილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეა-იაპონია 2002
## H ჯგუფი. II ტური

## №31 ტუნისი 1:1 ბელგია

10 ივნისი. ოიტა (იაპონია). 14.00 „სთადიუმ ბიგ აი". 39 700 მაყურებელი

0:1 ვილმოტსი (13), 1:1 ბუზაინი (17)

1 ბუმნიჟელი

მწვრთნელი ამარ სუაია

6 ტრაბელსი | 2 ბადრა | 12 ბუზაინი | 15 ჯაიდი

13 ბუაზიზი | 10 გოდბენე

8 გაბსი | 21 მელკი

18 ბენ აშური

5 ჯაზირი

7 ვილმოტსი | 20 შტრუპარი

8 გოორი | 11 ვერჰეინი

18 ვანდერეიგე | 6 სიმონსი

12 ვან დერ ჰიდენი | 3 დე ბოეკი | 16 ვან ბუიტენი | 2 დეფლანდრე

მწვრთნელი რობერ ვასეჟი

1 დე ფლიგერი

შეცვლა: ვერჰეინი – 14. ვერმანტი (46), შტრუპარი – 9. სონკი (46), გაბსი – 11. სელიმი (67), სიმონსი – 22. მპენზა (74), ჯაზირი – 20. ზიტუნი (78), მელკი – 3. ბეია (89)

გაფრთხილება: გაბსი (22), ვან ბუიტენი (40), გოდბენე (43), ტრაბელსი (68), მელკი (69)

მსაჯები: მარკ შილდი (ავსტრალია); პოლ სმიტი (ახალი ზელანდია), კომალესვარან სანკარი (ინდონეზია)

| | | |
|---|---|---|
| 23 | ჯარიმა | 18 |
| 6 | კუთხური | 5 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 8 |
| 3 | კარში დარტყმა | 3 |
| 2 | თამაშგარე | 2 |




ტუნისელმა მეკარე ბუმნიჟელმა უესლი სონკს გატანა არ დაანება

# ვინც რა უნდა თქვას




რაუფ ბუზაინის საჯარიმო დარტყმისას გერტ დე ფლიგერი უძლური აღმოჩნდა

**სოლომონ გულისაშვილი**

**ისე მოხდა,** რომ ტუნისი-ბელგიის ფრემ რუსების წისქვილზე დაასხა წყალი. ბელგიასთან ბოლო მატჩში ოლეგ რომანცევის გუნდს მერვედფინალში მოსახვედრად ფრეც ეყოფა, ასეთივე შედეგი ხელს აძლევს იაპონიასაც, ხოლო გუშინდელმა მოწინააღმდეგეებმა აუცილებლად უნდა გაიმარჯვონ.

მძიმე პირველი ტურის შემდეგ ორივე გუნდში შეცვალა რაღაც-რაღაცეები. ბელგიელთა თავკაცმა რობერ ვასეჟმა ძირითადში მოკეთებული მცველები, ერიკ დეფლანდრე და გლენ დე ბოეკი დააბრუნა, ხოლო შუახაზელ იოჰან ვალემის ნაცვლად თავდამსხმელი ბრანკო შტრუპარი ათამაშა, იაპონიასთან წინ წაწეული გერტ ვერჰეინი კი „თავის" მარჯვენა ფრთაზე დააბრუნა.

ბელგიელებს მთავარი პრობლემები დაცვაში აწუხებთ და იმედოვნებდნენ, რომ „შალკეს" 31 წლის უკანახაზელი ნიკო ვან კერკჰოვენი სატუნისოდ მაინც მომჯობინდებოდა — მან წინა კვირას ვარჯიშისას მიიღო ტრავმა და იაპონიასთან პირველი მატჩიც გამოტოვა — მაგრამ „წითელი ეშმაკუნების" ექიმებმა განაცხადეს, ფეხბურთელს სარეაბილიტაციოდ გარკვეული დრო კიდევ დასჭირდებაო და მწვრთნელებიც რისკს მოერიდნენ.

ტუნისელთა დამრიგებელმა ამარ სუაიამ ტაქტიკური სქემა ოდნავ შეცვალა, მცველ მოჰამედ მკაჩერის მაგიერ სასტარტოში მისივე ეტოილენი თანაგუნდელი კაის გოდბენე ათამაშა, რომელიც ამპლუით ასევე მცველია, თუმცა საყრდენის მოვალეობის შესრულებაც ძალუძს და შეტევებშიც ხშირად ერთვება. ფრაიბურგელი ადელ სელიმის ადგილი ესპერანსელმა მურად მელკიმ დაიკავა.

ცვლილებებმა ორივე ნაკრების თამაშზე იმოქმედა. განსაკუთრებით ეს ტუნისელებზე ითქმის. პირველი მატჩისგან განსხვავებით ჩრდილოაფრიკელები უფრო დალაგებულად ირჯებოდნენ, ნახევარდაცვა თავის მოვალეობას კარგად ართმევდა თავს და თავდამსხმელებსაც დროულად ამარაგებდა პასებით. ეგ არის, საგოლე მომენტების გამოუყენებლობა არა მარტო ტუნისელების, საერთოდ აფრიკული გუნდების სენია, ამიტომაც არავის გაკვირვებია, როცა ერთადერთი გოლი უკანახაზელმა რაუფ ბუზაინმა გაიტანა.

ჯამში ტუნისელები მეტად მარდები ჩანდნენ, ბელგიელებს კი თითქოს მთელი ძალა იაპონელებთან სირბილისას დაეხარჯათ და ახლა მოწინააღმდეგეს ძლივსღა უმკლავდებოდნენ, თუმცა ფონს მეტი ორგანიზებულობისა და საფეხბურთო განსწავლულობის ხარჯზე გავიდნენ. მათი პირველი გოლიც ხომ ნასწავლი ევროპული ფეხბურთის კლასიკური მაგალითი იყო — ძალიან ლამაზი, ოთხსვლიანი კომბინაცია „ბებერმა" მარკ ვილმოტსმა დაასრულა ვარდნაში.

აფრიკელებმა მალევე გაათანაბრეს. ერთ-ერთი შეტევისას ვერჰეინმა საკუთარ საჯარიმოსთან ბენაშური წააქცია, ბურთი ისევ სუაიას ბიჭებს დარჩათ და გაიტანეს კიდეც, მაგრამ მსაჯს წესის დარღვევისთანავე მიეცა სასტვენი და ტუნისელებს ჯარიმის დარტყმა მოუხდათ. სამართალმა პური ჭამაო, ამაზეა ნათქვამი, რაუფ ბუზაინმა ცაცია დიდებული საჯარიმო დაარტყა. საერთოდ, პირველი 20 წუთი გაცილებით შინაარსიანი გამოდგა, ვიდრე დარჩენილი დრო, თუ მოწინააღმდეგეთა ეპიზოდურ ჩხვლეტებს არ ჩავთვლით, მინდორზე საინტერესო ბევრი არაფერი მომხდარა. ბოლოსკენ კი თითო გოლის გატანა კიდევ მართებდათ, ჯერ კაის გოდბენეს დარტყმული დე ფლიგერმა ძლივს მოიგერია, მერე კი შეცვლაზე შესულმა უესლი სონკმა ოდნავ ააცილა ალი ბუმნიჟელის კარს.

ორივე მწვრთნელი, ბუნებრივია, მოსაგებად ილვწოდა და ამას შესვენების მერე მინდორზე შესული თავდამსხმელ-ნახევარმცველების სიმრავლეც ადასტურებს, მაგრამ ესენიც საერთო მორევს შეუერთდნენ და თავი ვერაფრით გამოიჩინეს. შედეგად ბოლო ტურში დასაკარგი არცერთს არაფერი დარჩა და აუცილებლად გასამარჯვებლად უნდა ითამაშონ. თუ ბელგიას რუსეთთან წარმატების პატარა შანსი კიდევ აქვს, ძნელი წარმოსადგენია, ტუნისელებმა გააფთრებულ თანამასპინძლებს რაიმე დააკლონ.

## სატურნირო ვითარება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იაპონია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| რუსეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 3 |
| ბელგია | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| ტუნისი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |

## მატჩის შემდეგ

### ამარ სუაია

*ტუნისის ნაკრების მწვრთნელი*

ბელგიელები გაცილებით ძლიერები იყვნენ, მაგრამ მოვინდომეთ, მტკიცე ხასიათი გამოვავლინეთ და მატჩიც ჩვენს შეტევებში დასრულდა. ვფიქრობ, მეტს ვიმსახურებდით, თუმც არც ფრეა ურიგო შედეგი.

იმედიანად ვართ. ვიცით, იაპონელებს რომ უპირატესობა აქვთ, მაგრამ ყველაფერს ვიღონებთ მათ დასამარცხებლად. თამაშიდან თამაშამდე ვუმატებთ და დარწმუნებული ვარ, ჯგუფის ბოლო მატჩსაც უკეთ ჩავატარებთ.

### რობერ ვასეჟი

*ბელგიის ნაკრების მწვრთნელი*

მეტოქე სწრაფი იყო და დაცვიდან შეტევაზე იოლად ეწყობოდა. შეცდომა დავუშვით, როცა ტუნისელები სათანადოდ არ შევაფასეთ. ფეხბურთელების უმრავლესობა დარწმუნებული იყო გამარჯვებაში. მეტად რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდით, წინ გადამწყვეტი შეხვედრა გველის რუსებთან, რომლებიც, ჩემი აზრით, გვჯობნიან. მაგრამ ერთიცაა: უკან დასახევი გზა მოჭრილია, ბოლომდე ვიბრძოლებთ.

## სტენოგრამა

**პირველი წუთი:** მარკ ვილმოტსმა 30 მეტრიდან ჯარიმა დაარტყა. ბურთს მეკარე დაეუფლა.

**მე-6 წუთი:** ტიმი სიმონსის დარტყმული კარს ასცდა.

**მე-13 წუთი:** ბელგიელთა ულამაზესი კომბინაცია მარკ ვილმოტსმა ხუთიოდე მეტრიდან შედეგიანი დარტყმით დააგვირგვინა.

**მე-14 წუთი:** ჰასენ გაბსის თავური მეკარემ მოიგერია.

**მე-17 წუთი:** რაუფ ბუზაინის მშვენიერი საჯარიმო დარტყმა — გერტ დე ფლიგერი უძლური აღმოჩნდა.

**23-ე წუთი:** ბარტ გოორმა კარს ააცილა.

**37-ე წუთი:** ჰატემ ტრაბელსის აქტიურობამ ბელგიელთა საჯარიმოში ქაოსი შეიტანა, თუმც მეკარემ იმარჯვა.

**51-ე წუთი:** კაის გოდბენეს დარტყმული ოდნავ ასცდა კარს.

**59-ე წუთი:** გლენ დე ბოეკმა არაზუსტად დაარტყა.

**64-ე წუთი:** ტუნისელ მცველთა უხეში შეცდომით ბელგიელებმა ვერ ისარგებლეს — ალი ბუმნიჟელმა იყოჩაღა.

**84-ე წუთი:** ხალედ ბადრამ კარს გადააშორა.

**90-ე წუთი:** კაის გოდბენეს სახიფათო დარტყმული გერტ დე ფლიგერმა მოიგერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კორეა-იაპონია 2002**
**ანონსი. III ტური. A ჯგუფი. №33**

## დანია — საფრანგეთი

დღეს. ინჩეონი (კორეა). „მუნჰაკ სთადიუმი". 11.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| სორენსენი, ჰელვეგი, ჰენრიკსენი, ლაურსენი, ჰაინცე, რომედალი, გრავესენი, ტოფტინგი, გრონკიაერი, ტომასონი, სანდი | ბარტეზი, ტურამი, კრისტენვალი, დესაი, ლიზარაზუ, ვიეირა, მაკელელე, ვილტორდი, ზიდანი, ტრეზეგე, დიუგარი |
| მწვრთნელი: მორტენ ოლსენი | მწვრთნელი: როჟე ლემერი |

**მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)**

# ზიდანი ზიდანია?
## შენ იდექი, ჩვენ ვირბენთ

**მსოფლიოს ჩემპიონს** დანიასთან ორბურთიანი სხვაობით სჭირდება მოგება. თუ ეს შეძლო, სენეგალისა და ურუგვაის შეხვედრისგან დამოუკიდებლად, პირველი ან მეორე ადგილით, მერვედფინალში გასვლას მოახერხებს, თუ არა და, ერთობ სენსაციურად მოუწევს გვირგვინის მოხსნა და სხვისთვის გადალოცვა — ჯგუფში ჩარჩება.

მაგრამ, დანიასთან გამარჯვება, თან შეკვეთილი ანგარიშით, ნებისმიერი გუნდისთვის ძალიან ძნელი, ფანტასტიკის სფეროდან მოტანილი საქმეა და მით უფრო ძნელია საფრანგეთისთვის, რომელმაც პირველ შეხვედრაში სენეგალს ვერ სძლია, ხოლო მეორეში ურუგვაისთან იწვალა, არადა, ფრანგთაგან მხოლოდ გამარჯვებას ელიან, ეს თავადაც ძალიან კარგად მოეხსენებათ და ღელავენ.

ერთი სიტყვით, დღეს, შუადღისას, მსოფლიოს ჩემპიონატი ჩემპიონის გარეშე რომ გაგრძელდეს, მაინც და მაინც ნუ გაიკვირვებთ. ხოლო თუ მართლა ასე მოხდა, მაშინ ფრანგები გახდებიან მეორენი, რომელთაც ტიტულის მოპოვებიდან ოთხი წლის შემდეგ ჯგუფიდან გასვლაც კი ვერ მოახერხეს. პირველი ასეთი გუნდი გახლდათ 1966 წლის ბრაზილია.

„ჩვენი მდგომარეობა მძიმეა — ამბობს ემანუელ პეტი, რომელიც ორი ყვითელი ბარათის გამო დღევანდელ შეხვედრას სათადარიგოთა სკამიდან ადევნებს თვალს — დანიელებს ორი ბურთის სხვაობით უნდა მოვუგოთ. უნდა გითხრათ, რომ რაიმე განსაკუთრებულ ზეწოლასაც არ ვგრძნობთ. ჩვეულებრივად თამაშს ვაპირებთ, როგორც ყოველთვის. იმის გამო, რომ ჯერჯერობით ვერ გავიმარჯვეთ, მთელი სტრატეგიის შეცვლა გაუმართლებელია".

მართლაც, როჟე ლემერი 4-2-3-1 განლაგებით აპირებს მოედანზე გასვლას. ეს განლაგება საგანგებოდ ზიდანისთვისაა მოგონილი და აკი, მსოფლიოს უძვირესი მოთამაშე უბრუნდება კიდეც მოედანს.

„პირველი თამაშის შემდეგ ნაირნაირი გადაადგილების მოფიქრება შემეძლო, მაგრამ სწორი არ იქნებოდა. ყველაზე გონივრული ჩვეული პრინციპის ერთგულებაა და თუ შევცდი, დანიასთან შეხვედრაში გამოჩნდება" — განაცხადა ლემერმა.

ხოლო ზიდანმა, რომელიც 26 მაისს ანუ კორეასთან ამხანაგური მატჩის შემდეგ მარცხენა ფეხზე გაწყვეტილ კუნთს მკურნალობდა, შაბათს ვარჯიში დაიწყო. ფრანგების ექიმი ამბობს, დანიელების წინააღმდეგ ის მოედანზე გავა, ოღონდ გარანტიას ვერ მოგცემთ, რომ სასწაულებს მოახდენსო.

„ზიდანი ასი პროცენტით მზად ვერ იქნება — კვერს უკრავს ექიმს განაპირა მცველი ბიქსენტ ლიზარაზუ — მაგრამ სირბილი რომც ვერ შეძლოს, არა უშავს, მის ნაცვლად ჩვენ ვირბენთ."

„პირველ ორ შეხვედრაში უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ უშედეგოდ" — გული წყდება მარსელ დესაის.

ზემოთ ვახსენეთ, რომ ფრანგებს დისკვალიფიცირებული პეტი არ ეყოლებათ. მის გარდა არ იქნებიან მასზე უფრო თვალსაჩინოდ დასჯილი ტიერი ანრი და საზარდულნატკენი ფრანკ ლებეფი. თუმცა ლებეფის შესახებ გადაჭრით მაინც ნურაფერს ვიტყვით.

დანიელებს კი ფრეც ჰყოფნით, მაგრამ როგორც მათი მწვრთნელი, მორტენ ოლსენი ბრძანებს, მოედანზე მოსაგებად გავლენ.

„მხოლოდ მოგებაზე უნდა ვიფიქროთ — ამბობს ის — ჯგუფში სახიფათო ვითარებაა. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ხომ ნახეთ, არგენტინისა და ინგლისის შეხვედრა. განა იქ არ დამტკიცდა, რომ პირველი გოლის გატანას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს?"

შემდეგ, ოლსენს მეტოქეზე ჰკითხეს. მან უპასუხა:




ზიდანის ზიდანობა დანიასთან გამოჩნდება

„ცხადია, ზიდანს შეუძლია ფრანგებს სახელოები დაუკაპიწოს, მაგრამ ემსგავსება კი ეს ფეხბურთელი საკუთარ თავს?"

აღსანიშნავია, რომ დღევანდელი მეტოქეები 1984 წლიდან მოყოლებული ოთხჯერ გადაეყარნენ დიდ შეჯიბრებებზე ერთმანეთს და ოთხჯერვე ვინც მოიგო მერე ჩემპიონი გახდა.

„დღეს ჩვენთვის ფინალია — დასძინა ლიზარაზუმ — უმძიმეს დღეში ვართ, მაგრამ თუ გავძვერით, მერე ჩვენი გამჩერებელი აღარავინ იქნება".

**ბაჩუნა ძიდია**

**კორეა-იაპონია 2002**
**ანონსი. III ტური. A ჯგუფი. №34**

## სენეგალი — ურუგვაი

დღეს. სუვონი (კორეა). „სუვონი უორლდ კაფი". 11.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| ტ. სილვა, ო. დაფი, დიატა, სარი, პ. მ. დიოპი, კოლი, ფადიგა, ბეიე, პ. ბ. დიოპი, მუსა ნდიაიე, დიუფი | კარინი, გ. მენდესი, ლემბო, მონტერო, დ. როდრიგესი, ვარელა, პ. გარსია, გიგუ, რეკობა, დ. სილვა, აბრეუ |
| მწვრთნელი: ბრუნო მეტიუ | მწვრთნელი: ვიქტორ პუა |

**მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)**



ვიქტორ პუა და ალვარო რეკობა მწირგოლიანობას შეუწუხებია

# გაძლევს და შეირგე
## პუას აფრიკით ვერ მოატყუებ

**მთავარით,** შანსების გარჩევით დავიწყოთ: მერვედფინალში გასასვლელად სენეგალელებს არათუ მოგება, ფრეც ჰყოფნით. ამასთანავე შეიძლება ისეც მოხდეს, აფრიკელები წაგებითაც გავიდნენ ჯგუფიდან. მაგალითად, თუ ურუგვაიმ სენეგალს 3:2 მოუგო, ხოლო საფრანგეთმა დანიას 1:0, ოთხივე გუნდი თანაბარ ქულებს დააგროვებს, ბურთების უკეთესი შეფარდება კი ურუგვაის და სენეგალს აღმოაჩნდებათ.

ურუგვაის საქმე კი იმგვარადაა, რომ მხოლოდ მოგება აძლევს ხელს, თან სასურველია, ორბურთიანი უპირატესობით, რადგან ერთბურთიანი სხვაობა შესაძლოა, არ ეყოს. აქაც მაგალითი მოვიყვანოთ: ვთქვათ, ურუგვაიმ სენეგალს 1:0 მოუგო, ხოლო საფრანგეთმა დანიას 3:2, ამ შემთხვევაში ჯგუფიდან საფრანგეთი და დანია გადიან.

ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, უკეთეს მდგომარეობაში, ცხადია, სენეგალია, ვისაც შეუძლია მუნდიალზე მერვედფინალში გასული პირველი აფრიკული გუნდი გახდეს. თავისთავად აფრიკული ფეხბურთის წარმატება კარგა ხანია, აღარავის უკვირს, მაგრამ ის ფაქტი, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად მოხვედრილი გუნდი მოქმედ ჩემპიონს ამარცხებს და ჯგუფიდან გასვლასაც უმიზნებს, ბევრს ნიშნავს.

სენეგალელებზე ლაპარაკისას ხშირად გვიხდება სიტყვა სენსაციის ხმარება. აი, ურუგვაელთა მწვრთნელი ვიქტორ პუა კი ასე სულაც არ თვლის და თავისი არგუმენტი მოჰყავს: „მათი ყველა ფეხბურთელი საფრანგეთში თამაშობს და საფეხბურთო აზროვნებით ევროპელები არიან. ევროპელმა მწვრთნელმა მათ გუნდში დისციპლინა დაამყარა, ამას აფრიკული სისწრაფე და ფიზიკური გამძლეობაც დაუმატეთ და მიხვდებით, რომ სენეგალის ნაკრები პატივსაცემი ძალაა".

ურუგვაელებს კვლავაც დაშავებული ჰყავთ იუვენტუსელი ფაბიან ონილი. ამ დანაკლისის გაუთვალისწინებლად კი პუას დღეს უძლიერესი შემადგენლობის გაყვანა შეუძლია. მაგრამ სამხრეთამერიკელთა უმთავრეს პრობლემად საგოლე სიტუაციების გამოუყენებლობა რჩება. მწვრთნელი წუწუნებს, ალვარო რეკობა უზუსტესი პასებით ამარაგებს თავდამსხმელებს (დარიო სილვა და სებასტიან აბრეუ), წინა ორ მატჩში ათიოდე ერთიმეორეზე უკეთესი მომენტი გვქონდა და გასაოგნებელია, ერთ გოლზე მეტი როგორ ვერ გავიტანეთო. „თუმცა მომენტების შექმნის უნარი რომ გვაქვს, უკვე კარგია და, ბოლოს და ბოლოს, საფრანგეთზე მეტი მაინც გვაქვს გატანილი" — დასძინა პუამ.

სენეგალელებს კი არ ეყოლებათ ნახევარმცველი სალიფ დიაო. გეხსომებათ, ამ ფეხბურთელმა დანიელებს გოლი გაუტანა, მატჩის მიწურულს კი უხეშობისთვის გააძევეს. ბრუნო მეტიუსთვის დიაოს შემცვლელის მოძებნა იოლი საქმე არ გახლავთ, რადგან სედანელი ფეხბურთელი მოედნის ცენტრში ზღვა სამუშაოს ასრულებს. დიაოს გაძევების შემდეგ გაჩენილი სიცარიელე მეტიუმ ჰაბიბ ბეიესთვის პოზიციის შეცვლით ამოავსო, მაგრამ ურუგვაისთან, სავარაუდოდ, რაღაც ახალს მოიფიქრებს.

ასევე გაურკვეველია კაპიტნის, ალიუ სისეს ამბავი. ის დანიასთან მატჩისას მიღებულ ტრავმას იშუშებს და დროულად თუ მომჯობინდა, ეგებ, სასტარტო შემადგენლობაშიც ითამაშოს.

**გიორგი დარჯანია**



წითელმა ბარათმა სალიფ დიაოს თამაში ჩაუგდო

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| სენეგალი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ურუგვაი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |

კორეა-იაპონია 2002
ანონსი. III ტური. E ჯგუფი. №35

**კამერუნი — გერმანია**

დღეს. შიზუოკა (იაპონია). „შიზუოკი ეკოპა“. 16.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| ალიუმი, ჩატო, ვომე, რ. სონგი, რ. კალა, ჯერემი, ლორენი, ფოე, ნგომ კომე, ეტოო, მბომა | კანი, ლინკე, რამელო, მეცელდერი, ფრინგსი, ჰამანი, შნაიდერი, ბალაკი, ბოდე, კლოზე, იანკერი |
| მწვრთნელი: ვინი შეფერი | მწვრთნელი: რუდი ფიოლერი |

მსაჯი: ხოსე ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)

# ვინიმ ფაფარი აიშალა:

## დღეს ლომი ვარ, საერთოდ კი გერმანელი



ვინფრიედ შეფერი სამშობლოს გაეყარა

**მთელ გერმანიას** მცირე ეჭვი თუ ღრღნის, რომ მათი ნაკრები კამერუნთან ჩაფლავდება და ჯგუფში ჩარჩება.

„მომწონს ის პოზიცია, რომელიც გვიჭირავს“ — თქვა რუდი ფიოლერმა მიუხედავად იმისა, რომ სამგზის მსოფლიოს ჩემპიონები რისკის წინაშე დგანან — შეიძლება, 1938 წლის მუნდიალის შემდეგ პირველად ვერ გადალახონ საწყისი ეტაპი.

„ჩვენ უკეთეს დღეში ვართ, ვიდრე ბევრი სხვა ტიტულიანი ნაკრები“ — ესეც ფიოლერის სიტყვებია, რომელმაც ტურნირამდე განაცხადა, ჩემი გუნდის პროგრამა-მინიმუმი ჯგუფიდან გასვლააო. „გერმანიის ნაკრები ჯერ დაუმარცხებელია და ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა. თავდაჯერებულობისთვის ყველანაირი საფუძველი გვაქვს“ — დაუმატა ნათქვამს გერმანელთა მთავარსარდალმა.

რეალურად რომ ვიმსჯელოთ, კამერუნს გერმანიასთან მხოლოდ მოგება აძლევს ხელს, რადგან ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ ირლანდია ორი ბურთის სხვაობით ვერ დაამარცხებს საუდის არაბეთს.

მოგეხსენებათ, კამერუნის ეროვნულ გუნდს გერმანელი სპეციალისტი ვინი შეფერი წვრთნის. „ტურნირის წილისყრამდე ვთქვი, რომ მერჩივნა, არ გადავყროდი გერმანიის ნაკრებს პირველ ეტაპზე, მაგრამ ახლა ეს მატჩი არ უნდა განვიხილოთ, როგორც შეფერი ფიოლერის წინააღმდეგ“ — დასძინა შეფერმა, რომელიც საკმაოდ პოპულარული ფიგურაა გერმანიაში, სადაც ფეხბურთელის ხანგრძლივი კარიერის შემდეგ მწვრთნელად „კარლსრუესა“ და „შტუტგარტში“ მუშაობდა.

— ამ მატჩში ჯგუფის პირველადგილოსანი მეორეადგილოსანს შეხვდება და ჩვენი შანსები მხიბლავს — ასე იმშვიდებს თავს ვინი.

კამერუნი ოცნებობს თორმეტი წლის წინანდელ ამბავზე, როცა როჟე მილას ანცობით ნაკრებმა იტალიაში მუნდიალის მეოთხედფინალამდე მიაღწია. „ძალიან თავდაჯერებული ვარ, რომ ამ გადამწყვეტი ნაბიჯისთვის ჩვენ მზად ვიქნებით, მოვიგოთ“ — მადრიდის „რეალის“ მარჯვენა მცველი ჯერემი გერმანელებს მუშტებს უღერებს.

არადა, რომ არა ბოლო წამებზე გაშვებული გოლი ირლანდიასთან, გერმანია უკვე მერვედფინალისტი იქნებოდა. „რა თქმა უნდა, ირლანდიასთან მომხდარით გაწბილებულნი ვართ, მაგრამ ტურნირის დაწყებისთანავე ისიც ვთქვი, ყველაფერი კამერუნთან მატჩით გაირკვევა-მეთქი“ — თურმე ადრევე დაუზღვევია თავი ფიოლერს.

ვერაგმა ტრავმებმა გერმანელებს ტურნირამდე ხუთი ფეხბურთელი დააკლო, ირლანდიასთან შეხვედრაში კი კორეა-იაპონიის მთავარმეგოლე მიროსლავ კლოზე დაშავდა. მუხლმტკივანი კლოზე იმ მატჩში შესაცვლელი შეიქნა და ვარაუდობდნენ, კამერუნთან მინდორზე ვერ გავაო. თუმც კლოზემ გუშინწინ სრული დატვირთვით ივარჯიშა და დღეს ითამაშებს კიდეც.

კამერუნელები თავიანთ დაცვის ბურჯ რიგობერტ სონგს მისტიროდნენ, რომელსაც საუდელებთან ბარძაყის კუნთი დაეჭიმა, მაგრამ სადღეისოდ გამოჯანმრთელდა.

გერმანელთაგან კი სრულიად ჯერაც ვერ მომჯობინდა მიხაელ ბალაკი. მარჯვენა ტერფი მას ისევ აწუხებს, თუმც თუ საუკეთესო ფორმას დაიბრუნებს, ბალაკი გერმანელთათვის ისეთი ფეხბურთელი იქნება, მატჩის შემობრუნება რომ შეუძლია — ასეთია გერმანელ ექსპერტთა საერთო თვალთახედვა.

გერმანელი საფეხბურთო ანალიტიკოსები იმასაც ამბობენ, რომ კამერუნელთაგან ყველაზე სახიფათონი სამუელ ეტოო და პატრიკ მბომა არიან, მაგრამ ისეთი ტენდენცია სჭვივის, რომ ისინი უფრო ინდივიდუალურ ქმედებებს ეყრდნობიან, ვიდრე დისციპლინირებულ, კოლექტიურ ძალისხმევას.

ფაქტობრივად, იგივე აზრისაა ფიოლერიც: „კამერუნელებს განსაკუთრებული ფეხბურთელები ჰყავთ, მაგრამ ეს მოთამაშეები ამავე დროს შანსს გაძლევენ, რაც საუდელებთან მათ მატჩში დავინახეთ. ჩვენ შეგვწევს ძალა კამერუნელთა დასამარცხებლად, მაგრამ მთელი 90 წუთი ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ და ისევე არ ჩავვარდეთ დაცვაში, როგორც ეს ირლანდიელებთან მოგვივიდა.“

ფიოლერის თანამემამულე მეტოქე ვინი შეფერი კი ნაციონალურ ნიადაგზე წარმოშობილი კითხვებით დაბომბეს. „მოუთვინიერებელ ლომთა“ გერმანელმა მწვრთნელმა მოკლედ მოჭრა: „ახლა მე ლომი ვარ“.

**დავით თავართქილაძე**



რიგობერტ სონგმა კამერუნელებს ცრემლი შეუშრო

კორეა-იაპონია 2002
ანონსი. III ტური. E ჯგუფი. №36

**საუდეთი — ირლანდია**

დღეს. იოკოჰამა (იაპონია). „ინტერნაციონალ სტადიუმი“. 16.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| | |
|---|---|
| ალ-დეაია, ალ-ჯაჰანი, თუქარი, სულეიმანი, ალ-შეჰრი, სულიმანი, ალ-შაჰრანი, ალ-ხათრანი, ალ-ვაკედი, ალ-ტემიატი, ალ-იამი | გივენი, გ. კელი, ბრინი, სტონტონი, ჰარტი, ფინანი, ჰოლანდი, კინსელა, კილბეინი, დ. დაფი, რობი კინი |
| მწვრთნელი: ნასერ ალ-ჯოჰარი | მწვრთნელი: მიკ მაკარტი |

მსაჯი: ფალა ნდოიე (სენეგალი)

# ქუინი ოცი წუთის კაცია





ნასერ ალ-ჯოჰარს და მიკ მაკარტის განსხვავებული პრობლემები აქვთ

**მოკლედ ასეა,** ჯგუფიდან გასასვლელად ირლანდიელებს მოგება სჭირდებათ. თუ რამდენი ბურთის სხვაობით, უკვე კონკურენტთა, გერმანია — კამერუნის შედეგზეა დამოკიდებული. მიკ მაკარტის მკითხაობის დრო აღარ აქვს. რაც ბევრს გაიტანენ, მით უფრო მშვიდად იქნებიან. ოღონდ აქვე განვმარტოთ, რომ გოლებს გერმანია — კამერუნის მატჩის ფრედ დასრულების შემთხვევაში დაითვლიან, ხოლო ის შეხვედრა რომელიმემ თუ მოიგო, ირლანდიელებს ნებისმიერი ანგარიშით გამარჯვება ხელს აძლევთ.

მსოფლიოს ჩემპიონატზე ირლანდიის ნაკრებს ერთ მატჩში ერთზე მეტი ბურთი ჯერ არ გაუტანია. ასე რომ, შეიძლება, ეს პირველი შემთხვევა იყოს 2-იან ნიშნულზე გასვლისა.

მიკ მაკარტი, რომელსაც გონებაში ეგებ უკვე სამერვედფინალო მეტოქე უტრიალებს, ცდილობს, ფეხბურთელების ყურადღება საუდეთთან დღევანდელ შეხვედრაზე გადაიტანოს: „ჩვენ აუტსაიდერებად აღარ ვითვლებით, რაც გვაიძულებს, სხვანაირად მივუდგეთ საქმეს. მიუხედავად იმისა, რომ ირლანდიის წარმატებულ გამოსვლაზე გახვრეტილ გროშსაც არავინ დადებდა, ორივე მატჩში ფრის მიღწევა შევძელით. უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ — ხშირად ხდება, რომ გუნდი ძლიერ მეტოქესთან კარგად თამაშობს, გაცილებით სუსტთან კი უსუსურად გამოიყურება. ასეთი შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს“.

ნახევარმცველი მარკ კინსელა: „საკმაო დრო დამჭირდა იმის დასამტკიცებლად, რომ ხელწამოსაკრავი ფეხბურთელი არ ვარ. ეროვნულ გუნდშიც ჩემი ბრძოლისუნარიანობის წყალობით მოვხვდი. ყველა წინაპირობა გვაქვს გამარჯვებისთვის. გრძელი გზა გამოვიარეთ და უკან დახევას არ ვაპირებთ. წარმოუდგენელია, რა დღე დაადგება მიკ მაკარტის, ფეხი რომ დაგვიცდეს“.

მწვრთნელმა თავისი ფორვარდებიც შეაქო: „მათი საქმე გოლების გატანაა. თუ საუდეთს საწყის ათ წუთში ვერ გაუტანეს, არ მგონია, პანიკაში ჩაცვივდნენ, მთავარია, მაშინ შეაგდონ, როცა აუცილებელია. ეს კი ჩემმა გუნდმა უკვე ორჯერ შეძლო“.

მიკ მაკარტი სასტარტო შემადგენლობაში ნაილ ქუინის შეყვანას არ აპირებს: „იგი საუკეთესოდ მაშინ ერთვება თამაშში, როცა მატჩის დასრულებამდე 20 წუთი რჩება“.

ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია, თუმცა ქუინს უპირობო უპირატესობა რომ ექნება ჰაერში, უეჭველია.

და საუდის არაბეთი? მისთვის ეს მატჩი პრესტიჟის ამბავია. არაბებს კაპიტანი სამი ალ-ჯაბერი და მთავარმეგოლე ობაიდ ალ-დოსარი არ ეყოლებათ. ალ-დოსარის გატანილი ჯერ არ გვინახავს, მაგრამ ფორვარდი ჰქვია და, რა ვუყოთ.

მწვრთნელ ნასერ ალ-ჯოჰარს ძველი დროის გახსენებით გული დასწყდა. მან არაბი გულშემატკივრებისგან შენიშვნა იწყინა: „ისინი მუდმივად 1994 წელს მახსენებენ, როცა გუნდი მერვედფინალში გავიდა. უნდა შეიგნონ, რომ ახლა ჯგუფში გერმანია და აფრიკის ჩემპიონი კამერუნი გვყავან, მაშინ კი ბელგია და მაროკო იყვნენ.“

**მაშა ხუციშვილი**

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 1 | 1 | 0 | 9:1 | 4 |
| კამერუნი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ირლანდია | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| საუდეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:9 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიოს ჩემპიონატის დღიური 8,9,10 ივნისი

გია ახვლედიანი



კრისტიან პანუჩიმ გრემ პოლს, თვალში გამოიხედეო

# ვინ გავა, კაცო?

**გრემ პოლი** ცნობილი კაცია. თავისი მსაჯობითაა ცნობილი და ერთადერთი ინგლისელი არბიტრია მსოფლიო ჩემპიონატზე რომ მიიწვიეს. გრემ პოლი გამოცდილი მსაჯია და სამსაჯოდაც რთული თამაში ანდეს. ახლა მთელი იტალია გრემ პოლს აგინებს, თუმცა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას გრემ პოლის წინააღმდეგ ფიფაში საჩივარი არ შეაქვს, ის ხალხი არა ვართ, დრო ვკარგოთ და თვითგვემას მივეცეთო.

პოლმა ასისტენტ ლარსენის მინიშნებით ორი გოლი არ ჩაუთვალა იტალიელებს, რომლებმაც ღია და ლამაზ თამაშში წააგეს ხორვატებთან და ახლა აუცილებლად მოგება სჭირდებათ, რათა მერვედფინალში გავიდნენ.

ორივე გოლი ნაღდი იყოო, ჩამოყალიბდა მსოფლიო აზრი, არც ვიერი იდგა ოფსაიდში და არც ინძაგი ებღაუჭებოდა სამოსზე ხორვატ მცველსო.

თუმცა, ეს გოლები რომ არ ყოფილიყო, იტალიელები მაინც უკმაყოფილონი დარჩებოდნენ პოლის მსაჯობით. ფრანჩესკო ტოტიმ თქვა, მეტად ინგლისური წესებით მსაჯობდა, ჯაჯგური და ხისტი თამაში გაგვახურებინაო. ტრავმირებულმა ალესანდრო ნესტამ კი დაიჩივლა, პირველ ტაიმში ოთხჯერ შევთხოვე ფეხი მტკივა და თამაში გააჩერე-მეთქი, მაგრამ სასტიკად იუარაო. კრისტიან ვიერიმ კი საერთოდაც სოფლების პირველობის მსაჯი უწოდა გრემ პოლს, რომელიც, სიმართლე ითქვას და ბოლო წუთს დაინიშნა იტალია — ხორვატიის თამაშის განმსჯელად, მანამდე იაპონია — რუსეთზე ყოფილა გამწესებული.

ეს ამბავი რომ გაუგია რუსთა თავკაც ვიაჩესლავ კოლოსკოვს, ფიფასავე დიდმოხელეს, ერთი ამბავი აუტეხია: ვინ სძულთ რუსებს და სწორედაც რომ გრემ პოლი, რომელმაც შესარჩევ ციკლში, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაური პენალტი დანიშნა რუსების კარში სლოვენიელებთან შეხვედრის ბოლო წუთზე.

გრემ პოლი ახირებული კაცია.

როგორც ამბობენ, მან ზედმიწევნით იცის თამაშის წესები, ოღონდ არ უყვარს და არც შეუძლია თამაშის სულსა და მიმდინარეობაში ჩართვა და როგორღაც ძალიან ხშირად მოშორებული ადგილიდან ადევნებს თვალს მოვლენათა ეპიცენტრს.

ფიფაში არ უყვარდათ, როცა მთავარი მსაჯი ასისტენტს დაეკითხებოდა, რა მოხდა და როგორო. ჰოდა, გვერდით მსაჯს ფიფას წესებით ლაინსმენი აღარ ჰქვია, არამედ, ასისტენტი, ანუ დამხმარე მსაჯი, რაც მისი როლის გააქტიურებას გულისხმობს და გრემ პოლის ასისტენტმაც მრავალწილ გადაწყვიტა იტალიასთან თამაშის ბედი. ჩემი, სათვალიანი მხედველობით პიპო ინძაგი ქაჩავდა მაისურაზე ხორვატ მცველს, თუმცა მომეჩვენა, რომ ხორვატიც არ აკლებდა. ისე კი, იმასაც ამბობენ, პოლმა და ლარსენმა ვიერის გოლიც წესების დარღვევით ჩათვალეს, რადგან მეგოლემ ბურთი მოედნის ფარგლებს გარედან მიიღოო.

იმას თუ დავუმატებდი, რომ მსაჯი ადამიანია.

ჯოვანი ტრაპატონიმ კი თქვა, კარგი ბატონო, ორიდან ერთი გოლი ხომ მაინც გვეკუთვნოდა, ფრე მაინც ხომ გვერგებოდაო. ფრე დიახაც მოარიდებდა აუცილებელ მოგებას იტალიელებს.

თუ იტალიელები უხასიათოდ არიან, თავი წამოყვეს ლუიშ ფილიპე სკოლარისა და სვენ გორან ერიკსონის შეგირდებმა. შვედი ამბობს, რომ არგენტინის დამარცხების შემდეგ აღარავისი ეშინია, „დიდი ფილის" გუნდი კი თვით იაპონიაში ჟურნალისტად ჩასულმა ტონსტაომ შერაცხა ჩემპიონობის ყველაზე რეალურ კანდიდატად.

ეგებ გაგიკვირდეთ და კმაყოფილია ბორა მილუტინოვიჩიც, რომელმაც იმდენჯერ გაიმეორა ბრაზილიასთან წაგებული მატჩის შემდეგ, ძალიან კმაყოფილი ვარო, რომ ერთბაშად ვერც მიხვდებოდი რაში იყო საქმე. თუმცა, რომ ჩაუკვირდები, გაგახსენდება, რომ ბორა სოციალისტურ სივრცეში გაზრდილი კაცია და ჩინეთისდარი ქვეყნების თამაშის წესები იცის. ბრაზილიასთან მარცხის შემდეგ, არც ერთ ჩინურ გაზეთს არ დაუწერია, სუსტები ვართო, პირიქით, აღინიშნა — გმირები გახლავართო, რადგან არ შეიძლება მაინც კომუნისტური ქვეყნის შვილები სუსტები იყვნენ. კომუნიზმის ყოფილ მექაში კი, ზედ იმათ წითელ მოედანზე, მთვრალმა რუსმა ჯეელებმა რბევა მოაწყეს, იაპონიასთან როგორ წავაგეთო. ზედახორა და არეულობა ამტყდარა მას შემდეგ, რაც ბესჩასტნიხმა ცარიელ კარს ააცილა ბურთი. რუსებმა მოარბიეს ლამის რომ მავზოლეუმი, დაწვეს მანქანები, დაამტვრიეს ჩინური რესტორნები და ვიეტნამელთა საერთო საცხოვრებლები.

საერთოდ, ბოლო ხანია რუსეთში დიდად პატრიოტული ამბავია აგორებული არარსებულ ან აღარარსებულ სიდიადეთა გამო და ფეხბურთის ამბავიც ამის შედეგია. ჯერ ის ნახეთ, რა ამბავი ქნა რუსთა მთავრობამ ზამთრის ოლიმპიადის გამო.

რაც შეეხება მოედანზე, დიდ ტელეეკრანზე მატჩის სახალხოდ ცქერას, ეს უფრო ევროპის საქმეა, ჯერჯერობით მაინც. სწორედ იმ დროს აჩვენებდნენ, როგორ უცქერდნენ პარიზის ერთ-ერთ მოედანზე ფრანგები გახსნის თამაშს. იქ მყოფმა რამდენიმე ასეულმა სენეგალელმა ლამის თავზე დაიმხო ყველაფერი, მაგრამ ფრანგებს ისინი არ დაურბევიათ, რადგან სენეგალელებსაც ჩვეულებრივად, ადამიანურად უხაროდათ და არა უზრდელურად. ჩინელსა და იაპონელს შორის კი ისეთივე განსხვავებაა, როგორც რუსსა და შვედს შორის. ჩინური რესტორანი და ვიეტნამელთა საერთო საცხოვრებელი საერთოდ არაფერ შუაშია იმასთან, რომ მარკუს მერკმა პენალტი არ დანიშნა იაპონელთა კარში.

ამ დროში კი შეჭირვებულ არგენტინის ნაკრებს წყნარი ოკეანის გამოღმით მძლავრი მხარდაჭერა უახლოვდება, ექვსთვიანი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, იაპონიის ვიზა მიიღო დიეგო არმანდო მარადონამ.

„რა უნდოდათ, ვერ გავიგე. კაცი მე არ მომიკლავს და იაპონიის კუნძულებზე ბომბები არ ჩამიყრია. ექვსი თვე ხვეწნა-მუდარაში გავიდა. თუ ასეა, ქვეყანაში ამერიკელები არ უნდა შეეშვათ", თქვა მარადონამ, რომელიც გუნდის შეგულიანებას ეცდება. თუმცა, ეს შეგულიანება შესაძლოა გვიანიც იყოს, რადგან მარადონა მხოლოდ შვედებთან გადამწყვეტი მატჩის შემდეგ ჩავა აზიაში. დიდი არგენტინელის ვიზის საკითხი უბრალოდ მაინც არ გადაწყვეტილა, არგენტინის მთავრობამ ლამის მოლაპარაკებები გამართა იაპონიის საელჩოსთან და ბოლოს იუსტიციის მინისტრმაც დაჰკრა ბეჭედი არგენტინელის სამურაების ქვეყანაში შესვლის ქაღალდს.

არგენტინელთა ბანაკში კი მნიშვნელოვანი საკითხები წყდება:

არავინ იცის, ითამაშებს თუ არა შვედების წინააღმდეგ ნაკრების კაპიტანი და მარსელო ბიელსას ოდინდელი ფავორიტი, ხუან სებასტიან ვერონი.

ბიელსას ვარჯიშებზე მოთვალთვალე გამოცდილმა ხალხმა თქვა, რომ ვერონმა ყველაზე კარგად ითამაშა სავარჯიშო შეხვედრა არგენტინის იუნიორთა ნაკრების წინააღმდეგ, ჯეი-ვილიჯის საწვრთნელ ბაზაზე რომ გაიმართა, მაგრამ ბიელსამ არ ჩართო ვერონი ძირითადი თერთმეტის ვარჯიშში, სადაც მისი ადგილი პაბლო აიმარს ეჭირა.

დამკვირვებლები ფიქრობენ, რომ შესაძლოა, აიმარმა და ვერონმა მხარდამხარ ითამაშონ, თუმცა, ნახსენებ სავარჯიშო შეხვედრაში ვერონის გვერდით მარსელო გალიარდო შეინიშნებოდა. ასეა თუ ისე, ბიელსა ცდილობს, რომ მოედანზე მეტი შემქმნელი ფეხბურთელი გაიყვანოს. ამას ძალიან წაადგება მომჯობინებული კლაუდიო კანიჯა და იმის მოლოდინი, რომ ბოლოს და ბოლოს არიელ ორტეგაც მოახერხებს თავის მკვლელ პასებს.

საერთოდ კი, ორი ტურის შემდეგ ვითარება ისე აირია, რომ თუ ერთ ჯგუფში ექსქულიანი ესპანეთი მერვედფინალში გასულია, მეორეში ექსქულიანი მექსიკა ეგებ ვერც კი გავიდეს და საერთოდ, კაცმა არ იცის, გაალწევენ თუ არა მერვედფინალში არგენტინელები, იტალიელები და ფრანგები. ბრაზილიელთა თავკაცი სკოლარი ამბობს, რომ ეს სამივე დიდი გუნდი აუცილებლად გავა პლეი ოფში. თავად ბრაზილიელებს კი ფავორიტებად თვლიან ინგლისურ ტოტალიზატორ „ლედბროკში", სადაც სკოლარის გუნდის შანსები 11/4-ზე ფასდება მას შემდეგ, რაც იტალიელებმა ხორვატებთან წააგეს. თავად ბრაზილიაშიც გული მოუბრუნდათ თავიანთ გიუმაე მწვრთნელზე: სან პაულუში ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ გულშემატკივართა თითქმის სამოცი პროცენტი დარწმუნებულია, რომ ბრაზილიელები მეხუთედ გახდებიან მსოფლიოს ჩემპიონები.

პირველი ნამდვილი წვიმა კი, რომელმაც პოლონელები გააცილა შინ, შემაშფოთებელია იმ მხრივ, რომ იაპონიის ნაპირებს რაღაც ცუნამისნობა უახლოვდება და თუ ბურთი გაიტაცა, საქმე გართულდება. ახალი ბურთები ხომ ისედაც მსუბუქია.



რუსებმა მოსკოვი აშოაყირავეს



შეეშინდებოდათ ბრაზილიელებს მაო ძედუნისა თუ რა?!



არგენტინის დამარცხებამ სვენ გორან ერიკსონი ბურთაობის ხასიათზე მოიყვანა

## საგანგებო ლოზუნგი
## ჯერ არ წახვიდეთ!

# სარბიელი და კროკო
# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | კალათბურთი. | | | | | | |
| | | 12 ივნისი | | | | | | |
| 06.00 | 515 | ნიუ ჯერსი-ლეიკერსი | 1,9 | 12,0 | 1,55 | | | |
| | | მსოფლიოს ჩემპიონატი. პირველი ეტაპი. | | | | | | |
| | | 11 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 133 | დანია-საფრანგეთი | 7,0 | 3,8 | 1,4 | 2,45 | 1,15 | 1 |
| 11.30 | 134 | სენეგალი-ურუგვაი | 3,0 | 3,0 | 2,3 | 1,5 | 1,3 | 1,3 |
| 16.30 | 135 | კამერუნი-გერმანია | 3,5 | 3,1 | 2,0 | 1,6 | 1,25 | 1,2 |
| 16.30 | 136 | საუდეთი-ირლანდია | 12,0 | 5,0 | 1,2 | 3,5 | 1,05 | 1 |
| | | 12 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 137 | შვედეთი-არგენტინა | 6,5 | 3,3 | 1,55 | 2,15 | 1,2 | 1 |
| 11.30 | 138 | ნიგერია-ინგლისი | 7,5 | 3,3 | 1,5 | 2,25 | 1,2 | 1 |
| 16.30 | 139 | ს.აფრიკა-ესპანეთი | 8,0 | 2,8 | 1,55 | 2,05 | 1,2 | 1 |
| 16.30 | 140 | სლოვენია-პარაგვაი | 6,5 | 3,8 | 1,45 | 2,3 | 1,15 | 1 |
| | | 13 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 141 | კოსტა რიკა-ბრაზილია | 9,0 | 2,8 | 1,5 | 2,1 | 1,25 | 1 |
| 11.30 | 142 | თურქეთი-ჩინეთი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 16.30 | 143 | მექსიკა-იტალია | 7,5 | 3,5 | 1,45 | 2,35 | 1,2 | 1 |
| 16.30 | 144 | ეკვადორი-ხორვატია | 5,6 | 3,8 | 1,5 | 2,25 | 1,15 | 1,05 |
| | | 14 ივნისი | | | | | | |
| 11.30 | 145 | ტუნისი-იაპონია | 5,3 | 3,2 | 1,65 | 1,9 | 1,25 | 1,05 |
| 11.30 | 146 | ბელგია-რუსეთი | 2,5 | 2,9 | 2,7 | 1,3 | 1,2 | 1,3 |
| 16.30 | 147 | პორტუგალია-კორეა | 1,85 | 3,0 | 4,2 | 1,1 | 1,25 | 1,7 |
| 16.30 | 148 | პოლონეთი-აშშ | 3,8 | 2,9 | 2,0 | 1,6 | 1,3 | 1,15 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ივნისი | | | |
| 11.30 | 1033 | დანია-საფრანგეთი | 6,0 | 2,5 | 1,75 |
| 11.30 | 1034 | სენეგალი-ურუგვაი | 3,4 | 2,0 | 2,9 |
| 16.30 | 1035 | კამერუნი-გერმანია | 3,6 | 2,1 | 2,5 |
| 16.30 | 1036 | საუდეთი-ირლანდია | 10,0 | 2,8 | 1,4 |
| | | 12 ივნისი | | | |
| 11.30 | 1037 | შვედეთი-არგენტინა | 6,0 | 2,2 | 1,95 |
| 11.30 | 1038 | ნიგერია-ინგლისი | 6,5 | 2,2 | 1,9 |
| 16.30 | 1039 | ს.აფრიკა-ესპანეთი | 6,5 | 2,1 | 2,0 |
| 16.30 | 1040 | სლოვენია-პარაგვაი | 6,5 | 2,3 | 1,8 |
| | | 13 ივნისი | | | |
| 11.30 | 1041 | კოსტა რიკა-ბრაზილია | 6,5 | 2,2 | 1,85 |
| 11.30 | 1042 | თურქეთი-ჩინეთი | 1,55 | 2,8 | 7,5 |
| 16.30 | 1043 | მექსიკა-იტალია | 6,5 | 2,3 | 1,8 |
| 16.30 | 1044 | ეკვადორი-ხორვატია | 5,6 | 2,3 | 1,85 |
| | | 14 ივნისი | | | |
| 11.30 | 1045 | ტუნისი-იაპონია | 5,6 | 2,1 | 2,1 |
| 11.30 | 1046 | ბელგია-რუსეთი | 2,9 | 2,1 | 3,2 |
| 16.30 | 1047 | პორტუგალია-კორეა | 2,3 | 2,1 | 4,4 |
| 16.30 | 1048 | პოლონეთი-აშშ | 3,6 | 2,1 | 2,5 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ივნისი | | | |
| 11.30 | 2933 | დანია-საფრანგეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 11.30 | 2934 | სენეგალი-ურუგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2935 | კამერუნი-გერმანია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2936 | საუდეთი-ირლანდია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 12 ივნისი | | | |
| 11.30 | 2937 | შვედეთი-არგენტინა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 11.30 | 2938 | ნიგერია-ინგლისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2939 | ს.აფრიკა-ესპანეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2940 | სლოვენია-პარაგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 13 ივნისი | | | |
| 11.30 | 2941 | კოსტა რიკა-ბრაზილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 11.30 | 2942 | თურქეთი-ჩინეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2943 | მექსიკა-იტალია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2944 | ეკვადორი-ხორვატია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | 14 ივნისი | | | |
| 11.30 | 2945 | ტუნისი-იაპონია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 11.30 | 2946 | ბელგია-რუსეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2947 | პორტუგალია-კორეა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2948 | პოლონეთი-აშშ | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## რომელი კონტინენტის ქვეყანა გახდება ჩემპიონი

**11 ივნისი. 11.30. 3801**

| | |
|---|---|
| ევროპა | 1,4 |
| ამერიკა | 2,3 |
| აფრიკა | 20,0 |
| აზია | 40,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | 11 ივნისი | | |
| 11.30 | 2133 | დანია-საფრანგეთი | 1,65 | 1,85 |
| 11.30 | 2134 | სენეგალი-ურუგვაი | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2135 | კამერუნი-გერმანია | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2136 | საუდეთი-ირლანდია | 2,0 | 1,55 |
| | | 12 ივნისი | | |
| 11.30 | 2137 | შვედეთი-არგენტინა | 1,7 | 1,8 |
| 11.30 | 2138 | ნიგერია-ინგლისი | 1,65 | 1,85 |
| 16.30 | 2139 | ს.აფრიკა-ესპანეთი | 1,6 | 1,9 |
| 16.30 | 2140 | სლოვენია-პარაგვაი | 1,65 | 1,85 |
| | | 13 ივნისი | | |
| 11.30 | 2141 | კოსტა რიკა-ბრაზილია | 1,75 | 1,75 |
| 11.30 | 2142 | თურქეთი-ჩინეთი | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2143 | მექსიკა-იტალია | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2144 | ეკვადორი-ხორვატია | 1,75 | 1,75 |
| | | 14 ივნისი | | |
| 11.30 | 2145 | ტუნისი-იაპონია | 1,85 | 1,65 |
| 11.30 | 2146 | ბელგია-რუსეთი | 1,65 | 1,85 |
| 16.30 | 2147 | პორტუგალია-კორეა | 1,65 | 1,85 |
| 16.30 | 2148 | პოლონეთი-აშშ | 1,7 | 1,8 |

## რომელი ჯგუფის გუნდი გახდება ჩემპიონი

**11 ივნისი. 11.30. 3701**

| | |
|---|---|
| A | 4,2 |
| B | 6,0 |
| C | 4,0 |
| D | 9,0 |
| E | 6,0 |
| F | 3,0 |
| G | 3,8 |
| H | 15,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 11 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1133 | დანია-საფრანგეთი | 11,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 4,7 | 3,0 | 25,0 | 12,0 | 1,8 |
| 11.30 | 1134 | სენეგალი-ურუგვაი | 4,7 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 16.30 | 1135 | კამერუნი-გერმანია | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,1 |
| 16.30 | 1136 | საუდეთი-ირლანდია | 20,0 | 20,0 | 40,0 | 20,0 | 5,6 | 3,0 | 40,0 | 20,0 | 1,4 |
| | | 12 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1137 | შვედეთი-არგენტინა | 10,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 | 3,1 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 11.30 | 1138 | ნიგერია-ინგლისი | 12,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 4,7 | 3,0 | 25,0 | 12,0 | 2,1 |
| 16.30 | 1139 | ს.აფრიკა-ესპანეთი | 12,0 | 8,0 | 25,0 | 15,0 | 4,0 | 3,1 | 25,0 | 8,0 | 2,2 |
| 16.30 | 1140 | სლოვენია-პარაგვაი | 10,0 | 10,0 | 20,0 | 12,0 | 5,0 | 3,0 | 20,0 | 10,0 | 2,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 13 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1141 | კოსტა რიკა-ბრაზილია | 15,0 | 8,0 | 30,0 | 15,0 | 4,2 | 3,0 | 30,0 | 8,0 | 2,0 |
| 11.30 | 1142 | თურქეთი-ჩინეთი | 1,6 | 12,0 | 25,0 | 3,0 | 5,0 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 16.30 | 1143 | მექსიკა-იტალია | 12,0 | 10,0 | 20,0 | 12,0 | 4,7 | 3,0 | 20,0 | 10,0 | 2,0 |
| 16.30 | 1144 | ეკვადორი-ხორვატია | 9,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 | 3,0 | 20,0 | 10,0 | 2,0 |
| | | 14 ივნისი | | | | | | | | | |
| 11.30 | 1145 | ტუნისი-იაპონია | 8,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 4,7 | 3,3 | 25,0 | 12,0 | 2,3 |
| 11.30 | 1146 | ბელგია-რუსეთი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 16.30 | 1147 | პორტუგალია-კორეა | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 16.30 | 1148 | პოლონეთი-აშშ | 6,0 | 8,0 | 20,0 | 7,0 | 4,0 | 3,6 | 20,0 | 8,0 | 3,2 |


**გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო**
**ახალციხე. ნათენაძის №7**

**მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში**

**კროკო**

ყოველდღიურად (ორშაბათის ჩათვლით) იმუშავებს
**სამუშაო საათები $9^{00}$ — $19^{00}$**

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების (ერთდროულად დანიშნული შეხვედრების შემთხვევაში, ორივე მატჩის პარალელურად) ნახვა და მოგებული თანხის თამაშის დამთავრებისთანავე მიღება შეგეძლებათ

**ნებისმიერ ბიუროში**


## რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | 11 ივნისი | | |
| 11.30 | 2033 | დანია-საფრანგეთი | 1,9 | 1,6 |
| 11.30 | 2034 | სენეგალი-ურუგვაი | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2035 | კამერუნი-გერმანია | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2036 | საუდეთი-ირლანდია | 2,1 | 1,5 |
| | | 12 ივნისი | | |
| 11.30 | 2037 | შვედეთი-არგენტინა | 1,75 | 1,75 |
| 11.30 | 2038 | ნიგერია-ინგლისი | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2039 | ს.აფრიკა-ესპანეთი | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2040 | სლოვენია-პარაგვაი | 1,75 | 1,75 |
| | | 13 ივნისი | | |
| 11.30 | 2041 | კოსტა რიკა-ბრაზილია | 1,75 | 1,75 |
| 11.30 | 2042 | თურქეთი-ჩინეთი | 1,9 | 1,6 |
| 16.30 | 2043 | მექსიკა-იტალია | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2044 | ეკვადორი-ხორვატია | 1,85 | 1,65 |
| | | 14 ივნისი | | |
| 11.30 | 2045 | ტუნისი-იაპონია | 1,75 | 1,75 |
| 11.30 | 2046 | ბელგია-რუსეთი | 1,8 | 1,7 |
| 16.30 | 2047 | პორტუგალია-კორეა | 1,85 | 1,65 |
| 16.30 | 2048 | პოლონეთი-აშშ | 1,8 | 1,7 |

## რამდენ მატჩში დაინიშნება პენალტების სერია

**15 ივნისი 11.30. 2401**

| | |
|---|---|
| 00-2 | 2,2 |
| 3-4 | 1,9 |
| 5 ან მეტი | 3,3 |

**რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს**
**I ადგილი ჯგუფში**
**რა ეტაპზე გავა გუნდი**
**იხილეთ ადგილზე**



ბადრი კოთოლაძის ფოტო

ფოტო სამახსოვროდ: მეტოქეობა წლებს გაჰყვა, მეგობრობა დარჩა

# სიყვარული გადარჩა

## გული გათბა და თვალი დასველდა

### ნიკოლოზ დერიუგინის ბენეფისმა სპორტის სასახლე მადლიერებით აავსო

**ის,** რასაც ამ შაბათს სპორტის სასახლემ უმასპინძლა, არ იყო დიდი კალათბურთი, მაგრამ ეს იყო დიდების კალათბურთი. იმ საღამოს თავად კალათბურთი იყო და არც იყო მთავარი. 8 ივნისს საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ, თანაგუნდელებმა, მეგობრებმა და, რაღა თქმა უნდა, გულშემატკივრებმა სპორტიდან გააცილეს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი ნიკოლოზ დერიუგინი.

დიდი ქართველი კალათბურთელის ბენეფისმა მიზეზთა გამო ვერ შემოიკრიბა ზღვა ხალხი, სპორტის სასახლე დერიუგინის ძველი თამაშის დროს უფრო ივსებოდა, სამაგიეროდ, ბენეფისს ახლდა ზღვა სიხარული. კოლია დერიუგინი იმსახურებდა ამას. მიუხედავად იმისა, რომ უმძიმესი ტრავმის გამო ფაქტობრივად 26 წლისამ დაამთავრა დიდი კალათბურთი, მან მაინც დატოვა ღრმა ნაკვალევი ქართულ სპორტში, მისი ნაფეხური სრულიად საბჭოეთის კალათბურთის ისტორიასაც ეტყობა.

ბენეფისი კი მშვენიერი გამოვიდა, უხვად შეკმაზული შოუთი და გულწრფელი სიხარულით, არც ტაში და ოვაცია აკლდა საღამოს და არც ძველი, ნაცნობი სახეები. დერიუგინი დააფასეს და სპორტიდან გააცილეს ძველმა მეგობრებმა და თანაგუნდელებმა საბჭოთა კავშირის ნაკრებსა თუ თბილისის „დინამოში": ვლადიმირ ტკაჩენკომ, სერგეი ტარაკანოვმა, ალექსანდრ ვოლკოვმა, რიმას კურტინაიტისმა, ანდრეი ტიუბინმა, ალექსანდრ სალნიკოვმა, ხოსე ბირიუკოვმა, იგორს მიგლინიეკსმა, ამირან სხიერელმა, ნოდარ ქორქიამ, პაატა გურასპაულმა, გელა დარსაძემ და სხვებმა. უფროსთაობასთან ერთად დერიუგინს პატივი მიაგო ყმაწვილმა მეგობარმა, საქართველოს ნაკრების 18 წლის ლიდერმა ზაზა ფაჩულიამ. ჩვენ მხოლოდ გვარები ჩამოვთვალეთ იმ კალათბურთელებისა, რომლებიც 80-იან წლებში მსოფლიოსა და ევროპას აზანზარებდნენ. ხალხი სიყვარულითა და აპლოდისმენტებით შეხვდა მათ.

საღამოს უმთავრესი ნაწილი, რაღა თქმა უნდა, ძველი „დინამოსა" და 80-იანელ ვარსკვლავთა ნაკრების ამხანაგური პაექრობა გახლდათ. ეს არ იყო ჩვეულებრივი მატჩი. არ ვგულისხმობთ რვაწუთიან მეოთხედებსა და შესვენება-ტაიმაუტებზე ფიცარნაგზე შესულ მომღერლებს. ეს თამაში უჩვეულო იყო იმით, რომ გულშემატკივარი სიხარულით ხვდებოდა ოდესღაც ქართველთა მეტოქეების ლამის ყველა ჩაგდებულ ბურთს. იყო დრო, ტარაკანოვსა და კურტინაიტისს სპორტის გადაჭედილი სასახლე რადიკალურად განსხვავებული ემოციებით ხვდებოდა, მაგრამ ამ შაბათს ყველაფერი სხვანაირად იყო და ასეც უნდა ყოფილიყო.

სამწუხაროდ, თამაში ვერ მოახერხა 220-სანტიმეტრიანმა გიგანტმა და, ალბათ, საღამოს ყველაზე კოლორიტულმა მონაწილემ ვლადიმირ ტკაჩენკომ. მას სხვებზე მეტად დასტყობია დრო და მისი უთამაშებლობა კი არა, გასაკვირი ისაა, ამ უკვე ასაკოვანმა და კეთილმა გოლიათმა სიყვარულით კისერზე ჩამოკიდებული ოდესღაც „მოსისხლე მტრის", ნიკოლოზ დერიუგინის სიმძიმეს როგორ გაუძლო.

იმის გამო, რომ ტკაჩენკომ ვერ ითამაშა და ზოგი მოწვეულიც არ ჩამოვიდა, დერიუგინი საბჭოთა კავშირის ექვსკაციან ნაკრებს შეუერთდა და მშობლიური „დინამოს" „წინააღმდეგ ალმართა მძიმე მარჯვენა". კოლიას ცოტა კი გაუჭირდა „დინამოში" ცხოვრებაში პირველად მოთამაშე ყმაწვილ ცენტრ ზაზა ფაჩულიასთან გამკლავება და პირველი ბურთი საწყისი მეოთხედის მიწურულსღა ჩააგდო, ისიც საჯარიმოს ხაზიდან, მაგრამ მერე თანდათან ფორმაში შევიდა და თავის ყოფილ გუნდს 28 ქულა დაატეხა თავს. თამაშის ბოლოს მან და ფაჩულიამ მაისურები გაცვალეს და დერიუგინმა მატჩის ბოლო ორ წუთში შვიდი ქულა თავის დაწიოკებულ „დინამოს" შეაშველა.

ლამაზი საღამო ისე დამთავრდა, როგორც უნდა დამთავრებულიყო. მატჩი 62:62 ანგარიშით დასრულდა, ხოლო საღამო, რაღა თქმა უნდა, მღელვარებით. კოლია დერიუგინი მეგობართაგან ხელში ატაცებული გამოეთხოვა კალათბურთს და ქართველ გულშემატკივარს. მან ეს დაიმსახურა.

**ირაკლი ფირცხალავა**



ბადრი კოთოლაძის ფოტო

რამდენი აქვთ გასახსენებელი ძველ „დუელიანტებს", ვლადიმირ ტკაჩენკოს და ნიკოლოზ დერიუგინს...



მურთაზ ფოლადიშვილის ფოტო

მეგობრებმაც და ხალხმაც ნიკოლოზ დერიუგინს საკადრისი მიაგეს

## რაგბი

საქართველოს თასი. ფინალი. 9 ივნისი. ერევნული

**დათვები 15:9 ორბელი-ლელო**

**დათვები: 3 ს: ე. ძაგნიძე (2), კიკნაძე; 2 ა: ე. ძაგნიძე, კიკნაძე**

**ორბელი-ლელო: 3 ს: კვირიკაშვილი**

**მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი**

ბათუმის „დათვებმა" ზედიზედ მეორედ მოიგო საქართველოს თასი. ოღონდ წლეულს ეს ნაღდ ბრძოლაში მოახერხა: შარშანდელი ფინალი მეორე ფინალისტის, თბილისის „ლოკომოტივის" გამოუცხადებლობის გამო ჩაიშალა.

ულელოო მატჩის ბედი დამრტყმელთა სიზუსტემ გადაწყვიტა. ორივე გუნდს თანაბრად ჰქონდა შანსები, საჯარიმოებით ეხეირა. ბათუმელებმა უკეთ დაარტყეს, მხოლოდ ორი გააცუდეს და გამოუცდელ, მაგრამ ყოჩაღ მეტოქეს მძიმე ბრძოლა მოუგეს.

## ჩოგბურთი

**როლან გაროსი 2002**

**საფრანგეთის ღია პირველობა**

პარიზი. თიხნარი

საპრიზო 12 234 850 ევრო

### ვაჟები

**ერთეულები**

**ალბერტ კოსტა (20, ესპანეთი) — ხუან კარლოს ფერერო (11, ესპანეთი) 6:1, 6:0, 4:6, 6:3**

**წყვილები**

**პოლ ჰაარჰუისი (ჰოლანდია), ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — მარკ ნოულზი (ბაჰამები), დანიელ ნესტორი (კანადა) 7:5, 6:4**

### ქალები

**ერთეულები**

**სერენა უილიამსი (3, აშშ) — ვინუს უილიამსი (2, აშშ) 7:5, 6:3**

**წყვილები**

**ვირხინია რუანო პასკუალი (ესპანეთი), პაოლა სუარესი (არგენტინა) — ლიზა რეიმონდი (აშშ), რენე სტაბსი (ავსტრალია) 6:4, 6:2**

**შერეული**

**კარა ბლეკი, ვეინ ბლეკი (ზიმბაბვე) — ელენა ბოვინა (რუსეთი), მარკ ნოულზი (ბაჰამები) 6:3, 6:3**

## კალათბურთი

**პლეი ოფი. ფინალი**

ოთხ მოგებამდე

**ლეიკერსი 3:0 ნიუ ჯერსი**

7 ივნისი

**ლეიკერსი 106:83 ნიუ ჯერსი**

**ლეიკერსი: ფიშერი (12), ბრაიანტი (24), ფოქსი (10), ჰორი (9), ონილი (40 ქულა, 12 მოხსნა, 8 პასი); ჯორჯი (6), შოუ (5), მედსენი, ჰანტერი, უოლკერი**

**ნიუ ჯერსი: კიდი (17), კიტლზი (23), ვან ჰორნი (9), მარტინი (6), მაკალოუი (2); ჯეფერსონი (10), კოლინზი (6), უილიამსი (4), ჯონსონი (4), ჰარისი (2), სკალაბრინი, მარშალი**

9 ივნისი

**ნიუ ჯერსი 103:106 ლეიკერსი**

**ნიუ ჯერსი: კიდი (30), კიტლზი (7), ვან ჰორნი (14), მარტინი (26), მაკალოუი (10); ჯეფერსონი (8), უილიამსი (4), ჰარისი (2), კოლინზი (2), ჯონსონი**

**ლეიკერსი: ფიშერი (13), ბრაიანტი (36), ფოქსი (7), ჰორი (6), ონილი (35); ჯორჯი (6), შოუ (3), უოლკერი, ჰანტერი, მედვედენკო**

## ჰოკეი

**სტენლის თასი**

ფინალი

**დეტროიტი 2:1 კაროლინა**

8 ივნისი

**კაროლინა 2:3 დეტროიტი**

**1:0 0:1 1:1 0:0 0:0 0:1**

**1:0 ვასიჩეკი (16), 1:1 ლარიონოვი (26), 2:1 ონილი (48), 2:2 პალი (59), 2:3 ლარიონოვი (115)**

უაღრესად დაძაბულ და დრამატულ ბრძოლაში მატჩის ბედი მესამე ოვერტაიმში გადაწყდა და ეს ფინალის ყველაზე უხუცესმა, 41 წლის მოთამაშემ იგორ ლარიონოვმა შეძლო ჩინებული გარღვევით. „პროფესორმა" მშვიდად აუარა მცველს გვერდი, მერე კაროლინელი მეკარე არტურ ირბე დატოვა ხაზამშრალი და შაიბა მარცხენა ცხრიანში ჩაჭედა. ასე იმარჯვა „დეტროიტმა", ალბათ, სერიის მთავარ მატჩში და 2:1 დაწინაურდა.

FORMULA 1 მსოფლიოს ჩემპიონატი. მე-8 ეტაპი

# მიხაელ შუმახერმა ინტერესი გაიტანა

**წლევანდელ** სეზონში მიხაელ შუმახერის უკვე მეექვსე გამარჯვებით საჩემპიონო ბრძოლა ისეთი უინტერესო გახდა, რომ რბოლებზე დამსწრეთა რაოდენობა მალე იქნებ განახევრდეს კიდეც, რაკი შუა სეზონში ფაქტობრივად უკვე ცნობილია ტრიუმფატორის ვინაობა.

მონრეალში ლეგენდარულ კანადელ პილოტ ჟილ ვილნევის სახელობის ტრასაზე სარეკორდო, მეხუთე მოგების შემდეგ შუმიმ სატურნირო ცხრილში „მდევრები" მათთვის სამარცხვინო ქულათა სხვაობით ჩამოიტოვა. ჩემპიონატს უმწვავესი სამეორეადგილო კონკურენციაღა თუ შეუნარჩუნებს ინტრიგას. როგორც ცხრილიდან ჩანს, ვიცე-ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტი სამია, თუმცა ვერცხლის მაძიებელთ მალე იქნებ რუბენს ბარიკელოც შეუერთდეს.

აღსანიშნავია, რომ ეს იყო მიხაელის მე-40 გამარჯვება „ფერარის" გუნდში და იმავდროულად, ზესაიუბილეო 150-ე დიდი პრიზი ფორმულის ყველაზე სახელოვანი საჯინიბოსთვის.

შუმახერმა და მეორე ადგილზე გასულმა დევიდ კულტჰარდმა „ჟილ ვილნევზე" თითო პიტსტოპის ტაქტიკა აირჩიეს, რამაც მათ წარმატება მოუტანა.

ხუან პაბლო მონტოია და რალფ შუმახერი კარგა ხანს საპოდიუმო შანსს ინარჩუნებდნენ, მაგრამ პირველს ძრავამ უმტყუნა, პატარა შუმის კი ბენზინის ჩამსხმელთა უნიათობამ დააკარგვინა საპრიზო ადგილი.



მიხაელ შუმახერმა ფერარისთვის მეორმოცედ მოიგო

## რბოლის შედეგები

### კანადის დიდი პრიზი

9 ივნისი. მონრეალი

დისტანცია — 70 წრე — 305,270კმ

| | |
|---|---|
| 1. მ. შუმახერი (ფერარი) | 1:33.36,111 (195,682 კმ/სთ) |
| 2. კულტჰარდი (მაკლარენი) | ჩამორჩა 1,132 |
| 3. ბარიკელო (ფერარი) | 7,082 |
| 4. რაიკონენი (მაკლარენი) | 37,563 |
| 5. ფიზიკელა (ჯორდანი) | 42,812 |
| 6. ტრული (რენო) | 48,947 |
| 7. რ. შუმახერი (უილიამსი) | 51,518 |
| 8. პანი (BAR) | 1 წრით |
| 9. მასა (ზაუბერი) | 1 წრით |
| 10. სატო (ჯორდანი) | 1 წრით |
| 11. ვებერი (მინარდი) | 1 წრით |
| 12. ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 1 წრით |
| 13. ფრენცენი (ეროუსი) | 1 წრით |
| 14. იონგი (მინარდი) | 2 წრით |

რბოლას გამოეთიშნენ

| | |
|---|---|
| 15. ბატონი (რენო) | გაიარა 65 წრე |
| მონტოია (უილიამსი) | 55 |
| მაკნიში (ტოიოტა) | 45 |
| ირვაინი (იაგუარი) | 41 |
| სალო (ტოიოტა) | 41 |
| დე ლა როსა (იაგუარი) | 29 |
| ბერნოლდი (ეროუსი) | 16 |
| ვილნევი (BAR) | 8 |

საუკეთესო წრე

მონტოია 1:15,960 (206,682 კმ/სთ)

სატურნირო ვითარება

| | ქულა |
|---|---|
| მ.შუმახერი (ფერარი) | 70 |
| რ.შუმახერი (უილიამსი) | 27 |
| მონტოია (უილიამსი) | 27 |
| კულტჰარდი (მაკლარენი) | 26 |
| ბარიკელო (ფერარი) | 16 |
| ბატონი (რენო) | 8 |
| რაიკონენი (მაკლარენი) | 7 |
| ფიზიკელა (ჯორდანი) | 6 |
| ჰაიდფელდი (ზაუბერი) | 5 |
| ტრული (რენო) | 4 |





REUTERS

მსოფლიო კრივის ბელტ-დიდება ლენოქს ლუისის ხელშია

# დიდმა პატარა დასცა მისისიპის ნაპირას

## ლენოქს ლუისი ყველა დროის დიადებს უერთდება



რაც აქამდე არ მოხვედრია, სუყველა ერთად უთავაზა ლუისმა ტაისონს

**ლენოქს ლუისმა** მერვე რაუნდში ოსტატური და ძალმოსილი დარტყმებით დასცა მაიკ ტაისონი და შეინარჩუნა მძიმე წონის ერთადერთი და ნამდვილი ჩემპიონის სახელ. ზედიზედ მეორე ნოკდაუნის შემდეგ ტაისონმა წამოდგომა ვერ შეძლო.

ამ გამარჯვებამ ათქმევინა ლუისის მწვრთნელ ემანუილ სტიუარდს, რომ მუჰამედ ალის შემდეგ მძიმე წონას არ აჰყოლია ლენოქსის დარი მოკრივე. მემფისის „პირამიდის" სასახლეში გამართულმა ბრძოლამ ოფიციალურად დაადასტურა, რაც აქამდეც იყო ცნობილი: მაიკ ტაისონი აღარ არის მაღალი კლასის მოკრივე და არ ძალუძს სერიოზულად ბრძოლა.

„პირამიდის" დარბაზის 19 600 ადგილზე ბევრი ცნობილი და უცნობი ადამიანი იჯდა. უამრავი განთქმული შავი ამერიკელი მოსულიყო. ჩემპიონ მოკრივეთაგან აქ იყვნენ ლეგენდა ჯო ფრეზერი, გენიალური როი ჯონსი და უბერებელი ევანდერ ჰოლიფილდი, მსახიობთაგან სადად ჩაცმული დენზელ ვოშინგტონი, უკულმაკეპდახურული სამუელ ჯონსონი, შავსათვალიანი ვესლი სნაიპსი და ორსაყურიანი და თეთრწვერა მორგან ფრიმენი. ჰოლივუდელებთან ერთად აქ ჩანდნენ ტოპმოდელები და უბრალოდ მილიონერებიც.

კრივის საცქერლად მისულებს დარბაზის შესასვლელთან დაუხვდათ უმკაცრეს შემმოწმებელთა ლაშქარი, ასე რომ, ზოგიერთი იმათგანი, ვინც ბილეთში 2500 დოლარი გადაიხადა, რიგში იდგა საგულდაგულო ჩხრეკის მოლოდინში.

საქმეში ჩართულიყო ფედერალური ბიურო, პოლიცია, საიდუმლო სამსახური, ეროვნული გვარდია და გამნალმველთა პოლკი. ეს არა მარტო 11 სექტემბრის ბრალი იყო.

ყველას ახსოვდა, რომ ტაისონის ბოლო დიდი ბრძოლისას ევანდერ ჰოლიფილდის წინააღმდეგ ლას ვეგასის ემჯიემ გრანდში სროლა ატყდა. ქუჩაში რეპერი თუფაქ შაქური მოკლეს.

სწორედ იმ დღეს, 1997 წლის 28 ივნისს წააგო უკანასკნელად მაიკ ტაისონმა, რომელმაც ჰოლიფილდთან მეორე ბრძოლიდან თან ევანდერის ყურიც გაყოლა.

ამ ბრძოლისას კი დამთვლელ მსაჯთაგან არცერთი იყო ამერიკელი, რინგის რეფერად კი გახლდათ სალათისფერ პერანგში გამოწყობილი წვეროსანი ედი კოტონი.

გამომცხადებლებად ორ ტელეკომპანიას ორი ლეგენდარული გამომცხადებელი მოეწვია: ჯიმი ლენონი და მაიკლ ბაფერი. საერთოდ, რახან ბრძოლას ორი ტელეკომპანია გადასცემდა, შოუტაიმი და ეიჩბიოუ, თითქოს ყველაფერი ორად იყო გაყოფილი.

რინგიც კი ბრძოლის წინ ყვითელისან მცველთა მწკრივით გაეყოთ დიაგონალზე. ეს მწკრივი თითქოსდა იმიტომ დაეყენებინათ, რომ მოკრივეები გონგამდე არ ტაკებოდნენ ერთმანეთს. ეს უფრო შოუს ნაწილი იყო, რადგან მოკრივეები ნიუ იორკის ჰადსონის თეატრში მომხდარი ძიძგილაობის შემდეგ აღარსად შეხვედრიან ერთმანეთს. მათ დაშორიშორებაზე ორგანიზატორებმა იზრუნეს, რადგან ბრძოლამდელმა ძიძგილაობამ უარყოფითად იმოქმედა ბრძოლისადმი ინტერესზე.

ერთადერთი შიში იყო, რომ ტაისონს ბრძოლის დროს არ წამოეწყო ჩვეული ცხოველური ფანდები, მაგრამ მაიკი არაჩვეულებრივად წესიერად და ზრდილად იქცეოდა და ეტყობოდა, არაერთი ლექცია მოესმინა ქცევის გამო.

მეტიც, ბრძოლის შემდეგ მან არაჩვეულებრივად ზრდილობიანად და კეთილად ისაუბრა, ლუისის განთქმული გიემაჟი დედა, ვაიოლეტ ბიცოლაც გადაკოცნა და თქვა:

„მე ძალიან დიდ პატივს ვცემ ლენოქსს. ამიტომ ულირსს ვერაფერს ვაკადრებდი. ჩემს გულში მისადმი სიყვარული ბუდობს. დიდი კაცია და დიდი მოკრივე".

თავის მხრივ, ლუისმაც აქო ტაისონი, მას 90-იანი წლების საუკეთესო მოკრივე უწოდა.

ყველაფერი კი იყო ორად გაყოფილი, მაგრამ რინგზე მაინც ერთი დიდი მოკრივე იდგა.

ბრძოლა დაიწყო თუ არა, მალევე ცხადი შეიქნა, რომ ტაისონი ვერაფერს დააკლებდა ლუისს. ამ უკანასკნელს ფიზიკური უპირატესობა ხომ ჰქონდა და ჰქონდა და ტაქტიკურადაც ბრძნულად ირჯებოდა, თუმცა რეფერისგან ერთხელ გაფრთხილებაც მიიღო და ერთხელ ქულაც ჩამოერთვა.

ტაისონი თავიდანვე ეკვეთა ჩემპიონს, მაგრამ, როგორც არ ეცადა, მუშტი სასურველ ადგილას ვერ მიაწვდინა. ის ელვისებურობა, ოდესღაც რომ ჰქონდა მაიკს, აღარ აქვს და მხოლოდ თავდადებით ფონს ვერ გავიდოდა. თანაც, ხომ ცნობილია, რომ ტაისონი სამრაუნდა მოკრივეა, მერე კი ისე გაიდლაბნება ხოლმე, რომ ველარ იცნობ.

ლუისი კლინჩით და ბორკვით ებრძოდა პრეტენდენტის პირველ შეტევებს და ხელი შედარებით გვიან გამოიღო. მწვრთნელი სტიუარტი დაჰკიოდა კიდეც, რას ზოზინებ, დროზე მოუთავე ხელიო. ტაისონს კი თავისი მწვრთნელი, რონი შილდსი ემუდარებოდა, სახეში ვერ აწვდენ და ტანში დასცხეო. მაგრამ ტაისონი ჯიუტად მისდევდა თავის ერთადერთ შანსს, სანოკაუტო დარტყმას ცდილობდა და ალბათ უფრო მართალი იყო, ვიდრე მწვრთნელი, რადგან ამ ბრძოლაში ლუისის დამარცხება ერთადერთი, განგებისაგან ბოძებული დარტყმით შეიძლებოდა.

ლუისი კი მისდევდა თავის გეგმას და თითოს და მწარედ სცემდა მარჯვენა ჯებით. ის მარჯვენა ჰუკსაც დიდოსტატურად მოიხმარდა, ასე რომ, ტაისონს ორივე წარბიდანაც სისხლი სდიოდა და ცხვირიდანაც. ტაისონის წაქცევა დროის ამბავი იყო, ლუისი თავისი ოსტატობით, ჯანით და გრძელი მკლავით გუდავდა ყოფილ ჩემპიონს.

საერთოდ, თავიდანვე ტაისონს ერთგვარი განწირულობის იერი დასდებოდა, ვინ ვინ და თავად ერთი დროის დიდებულმა მოკრივემ ყველაზე კარგად იცოდა, რაც მოელოდა. მერე კი უძლიერესი დარტყმებისგან რეტდასხმული გაგორდა ფიცარნაგზე. მისტერ კოტონს დიდი დაკვირვება არ დასჭირვებია, წამსვე შეაჩერა წამომდგარი პრეტენდენტი, წაგებული ხარო.

ტაისონის ქცევა ბევრს საკვირველად დაურჩა, ლუისმა კმაყოფილებით განაცხადა, რომ მაიკმა მოუბოდიშა ყველაფრისთვის, რაც უხეირო უთხრა და გაუკეთა ბოლო წლებში და ერთი ბრძოლაც შესთხოვა.

ლუისმა ამის გამო სთქვა, რომ ერთხანს თავისი კარიერის შესახებ ფიქრს მოანდომებს. თუ ხალხს ჩემი და ტაისონის კიდევ ერთი შეხვედრა სწადია, სიამოვნებით დავთანხმდებიო.

„ტაისონის დამარცხებამ სრული კანონიერება შესძინა იმ აზრს, რომ მე პლანეტის საუკეთესო მოკრივე ვარ. ჩემს ჯებს წინ ვერავინ დაუდგება. დასამტკიცებელი არაფერი დამრჩა და შემიძლია, ახლავე გამოვეთხოვო რინგს", თქვა მართლაც დიდმა ჩემპიონმა.

თუმცა არის ერთი მომენტი: ლენოქსი კი ფლობს ფედერაციისა (იბფ) და საბჭოს (ვბკ) ქამრებს, მაგარმ არის მესამე ქამარიც, ასოციაციისა (ვბა), რომელიც წლინახევრის წინა ლუისს ეკუთვნოდა და ამერიკულმა სასამართლომ აართვა დონ კინგთან კონფლიქტის გამო, რახან ლუისმა უარი თქვა კინგის მოწყობილ ჩხუბში ტიტულის დაცვაზე.

ახლა ამ ქამარს ჯონი რუისი ფლობს, მეტად საშუალო მოკრივე, რომლის დამარცხებაც ლუისს არ უნდა გაუჭირდეს, თუმცა რუისთან ბრძოლის გარეშეც ლენოქს ლუისი აღიარებულია მძიმე წონის უდავო ჩემპიონად, ბოლო დეკადის ყველაზე ნამდვილ ჩემპიონად და ყველა დროის დიდ მოკრივეთა შორისაც იმკვიდრებს ადგილს.

ტაისონის მხრიდან რემატჩის მოთხოვნა კი არასერიოზულია და უფრო მაიკის სიჯიუტეს აღნიშნავს, ვიდრე ნამდვილ იმედს.

**ალბერტ ხარატიშვილი**



REUTERS

მაიკ ტაისონი დაეცა და საკრივო ლეგენდებშიც გადავიდა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge